პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980 | 10 ოქტომბერი, პარასკევი
№ 41 (2218)
გამოცემის 48-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურამიშვილის უკვდავება

**გრიგოლ აბაშიძე**

დავით გურამიშვილის ეს იუბილეც — პოეტის დაბადების 275-ე წლისთავი — საბჭოთა ხალხების მეგობრობის შესანიშნავ ზეიმად იქცა და ქართული პოეზიის დღესასწაული ახალი შინაარსით აჟღერდა დღეს, როცა ჩვენი ხალხების სულიერი სიახლოვის უძველესი ძირების დაძებნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დავით გურამიშვილის სახელი კარგა ხანია იქცა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ, იმ სამი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ, რომლებიც მან ორნახევარი საუკუნის წინ სულიერად დაანათესავა რუსეთის ომებში დაღვრილი სისხლით, უკრაინის ველებში ჩაქცეული ოფლითა და იმ მარად უკვდავი შემოქმედებით, რომლითაც დღეს ჩვენ ყველანი სამართლიანად ვამაყობთ.

გურამიშვილის „დავითიანი" მათთვის ჩვეული ოსტატობით თარგმნეს შესანიშნავმა რუსმა და უკრაინელმა პოეტებმა — ზაბოლოცკიმ და ბაჟანმა და იმთავითვე შეუქმნეს მშვენიერი ტრადიცია „დავითიანის" თარგმნას სხვა ძმური ხალხთა ენებზე. პავლო ტიჩინამ და მაქსიმ რილსკიმ გულწრფელი სიყვარულით გამთბარი ლექსები უძღვნეს დიდ ქართველ პოეტს, ხოლო ალ. ფადეევის, ნ. ტიხონოვის, პ. ანტოკოლსკის, კ. ზელინსკის, ი. სუდრაბკალნის და დ. დემირჩიანის წერილებში სხვადასხვა კუთხით აისახა ჰუმანიზმის მქადაგებელი ქართველი მგოსნის შემოქმედებით აღფრთოვანება.

ქართული მწერლობის ყველა თაობას მუდამ გამორჩეული სიყვარული ჰქონდა დავით გურამიშვილისადმი. ილია ჭავჭავაძემ, მისთვის ჩვეული შეუცდომლობით, პირველმა მიუჩინა გურამიშვილს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის განვითარების გზაზე ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზის, უშუალოდ, რუსთაველის შემდეგ გამგრძელებელს.

პირველად ილია ჭავჭავაძემ მოუძებნა გურამიშვილს მსოფლიო ლიტერატურაში პარალელები და სრულიად სამართლიანად საკაცობრიო მასშტაბები მისცა მის პოეზიას, როცა წერდა: „ჩვენ არას ვიტყვით არც დავით გურამიშვილზე, რომლის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ, და რომლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული".

ვაჟა-ფშაველამ გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში „დავითიანის" ავტორი რუსთველის სწორად და თავის უშუალო წინაპრად აღიარა:

> შენ ჩემო წინამორბედო
> უძვირფასესო პაპაო
>
> . . . . . . . .
>
> ნამდვილო მამულიშვილო,
> სამშობლოს ეკლის მკაფაო,
>
> . . . . . . . .
>
> მიშველეთ შენ და შოთამა,
> მგოსნობა გამიძრახაო.
>
> . . . . . . . .
>
> დაჩოქილი ვარ თქვენს წინა,
> ვით ერთი ვინმე გლახაო!

ახალი დროის პოეტებიდან გიორგი ლეონიძის პოეზია ორგანულად არის დაკავშირებული გურამიშვილის შემოქმედებასთან, რომელსაც მან არა მარტო შესანიშნავი ლექსები, არამედ დიდად საინტერესო გამოკვლევა და წერილები მიუძღვნა.

ასევე ორგანულია ტიციან ტაბიძისათვის გურამიშვილის ლექსები, ხოლო სიმონ ჩიქოვანს დავითის ცხოვრებამ და შემოქმედებამ ლექსების მთელი წიგნი შთააგონა.

ქართული მწერლობისათვის გურამიშვილის გაკვეთილს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და დღეს კიდევ უფრო მეტად აქვს.

სამშობლოს ტრაგიკული ბედი ფათერაკებითა და დრამატიზმით სავსე პოეტის პიროვნულ ბედს არაჩვეულებრივი ბუნებრიობით შეექსოვა და დაუკავშირდა „დავითიანში" და მტრებისაგან აკლებული ქართლის მატიანე აღსარებასავით უშუალო, გულწრფელ ლექსებში გამოითქვა. პიროვნული ტკივილი და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე ღრმად დაფიქრება ერთმანეთს საოცარი ორგანულობით შეერწყა და ნაწარმოებს უაღრესად თავისებური შინაარსი, დამაჯერებლობა და ღრმა განზოგადების ძალა შესძინა. „ქართლის ჭირი" არა მარტო მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბების ზუსტად გადმოცემით აოცებს მკითხველს, არამედ ერის ცხოვრებაში ავტორის — პოეტისა და მოქალაქის ადგილის იშვიათი სიზუსტით მონახვით და განსაზღვრითაც. ამიტომ არის, რომ პოეტის უბედობაში ჩვენ მთელი ერის უბედობასაც ისევე ვხედავთ, როგორც მთელი ერის ტრაგედიაში ცალკე ადამიანთა ულონობასა და ავბედითობას. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინება უნდა იყოს მთავარი მომენტი იმ უდიდესი სიყვარულისა და პოპულარობის ასახსნელად, რომელიც „დავითიანს" ხვდა წილად.

ავტორი „ქართლის ჭირში" ფაქტების ცივ ობიექტურ აღწერას კი არ გვთავაზობს და ნეიტრალურ მთხრობელად კი არ გვევლინება, — იგი თვითონ არის იმ მოვლენების შუაგულში, რომელთაც უპირველეს ყოვლისა პოეტის ბიოგრაფიაზე მოახდინეს უდიდესი გავლენა და ღრმა კვალი აღბეჭდეს მის სულში.

იგი სამშობლოს კეთილდღეობას აყენებს ყველაფერზე მაღლა და ისტორიულ პიროვნებებს, თავის ახლობლებს თუ საყვარელ ადამიანებსაც იმის მიხედვით აფასებს, თუ რა სარგებელი ან ვნება მოუტანეს მათ დაღუპვის პირას მისულ სამშობლოს.

ამ უმაღლესი საზომისათვის არ არსებობს არარავითარი ავტორიტეტი და გურამიშვილი მამასავით საყვარელ ვახტანგ მეექვსესაც კი იმეტებს გასაკიცხად, თუმცა სხვაგან მას სიბრძნით იოანე დამასკელსაც კი ადარებს.

სიმართლის თქმა დავითს უმაღლეს პრინციპამდე აჰყავს:

> აწ რომ ავი არ ვაძაგო,
> კარგი როგორ უნდა ვაქო,
> ავს თუ ავი არ ვუწოდე,
> კარგს სახელად რა დავარქო?
>
> . . . . . . . .
>
> მე თუ გინდა თავიც მომჭრან,
> ტანი გახდეს გასაბერად,
> ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
> მას ვერ ვიტყვი კახაბერად.

ამ ხელმძღვანელი პრინციპით სდებს მსჯავრს პოეტი თავის თანამედროვე მოღვაწეებს, დიდთა თუ მცირეთ, განურჩევლად. გურამიშვილმა „ქართლის ჭირში" საშინელი, სასოწარმკვეთი სურათი დახატა მაშინდელი ქართლ-კახეთის ყოფისა, ქვეყნის დაცემის მიზეზები სწორად აჩვენა და ყველას, ავისა თუ კეთილის მოქმედთ, მიუდგომელი მსჯავრი დასდო.

სიმართლისათვის თვალის გასწორება, ჭირის არ დამალვა, შემოქმედებისა და პიროვნების მაღალი პატრიოტული მთლიანობა, ზნეობის სიწმინდის ქადაგება იყო სამოქალაქო პათოსით აღსავსე გურამიშვილის პოეზიის უპირველესი ნიშნები. დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა ესოდენ დიდ წარმატებებს აღწევს სწორედ ამ მოთხოვნათა განხორციელებით, გურამიშვილის პოეზია ჩვენი მოკავშირეა და ჩვენთან ერთად იბრძვის ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის.

ამ მხრივ ფასდაუდებელი ღირებულებისაა მისი გაკვეთილი, რომლისგანაც ჩვენ, ახალი საქართველოს პოეტებმა, კვლავაც უნდა ვისწავლოთ.

გურამიშვილს ბედმა თითქმის დაუჯერებელი თავგადასავლებით სავსე ცხოვრება არგუნა. იგი ყველაფერში ნოვატორი იყო და თავისი შემოქმედების თემად რომ საკუთარი ცხოვრების ოდისეა გაიხადა, ესეც იმ დროისათვის ნოვატორობა გახლდათ.

გურამიშვილმა თავისი პოეზიის ენად ცოცხალი ხალხური მეტყველება აქცია და თავისი ლექსის ზომები და რიტმები ხალხური პოეზიის საგანძურიდან მოიხმო, ახალი ვარიაციებით გაამდიდრა მათი ინტონაციები. ესეც ნოვატორობა იყო იმ დროისათვის. ამ მხრივ ის სხვაზე უფრო შორს წავიდა: ქართული ლექსის მელოდიკას რუსული, უკრაინული და პოლონური ხალხური სიმღერების ხმები შეუწყო და ამით ხალხებს შორის არსებული სულიერი ნათესაობა აღმოაჩინა და განგვაცდევინა. რუსთაველის შემდეგ მან პირველმა დაუბრუნა ქართული ლექსი მარად ცოცხალ ეროვნულ-ხალხურ ძირებს, ამით ლექსს მეტი სილაღე და ბუნებრიობა მისცა და ესეც თავის დროზე დიდი სიახლე იყო.

გურამიშვილის პოეზია თავისი ფილოსოფიური სიღრმითაც იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. არც ერთ ქართველ პოეტს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე ამდენი არ უფიქრია. თავის ღრმად რელიგიურ ჰიმნებს პოეტი მსუბუქი იუმორით აზავებს და ყველაზე მძიმე ფიქრებს რომ აღგვიძრავს, ირონიულ ღიმილსაც არ ივიწყებს, რათა სიკვდილის წინაშე თავისი ქედმოუხრელობა გვაჩვენოს.

ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი კარგა ხანია მოგზაურობს მოსკოვისა და უკრაინის გზებზე. ქართული კულტურის უკრაინელმა მეგობრებმა მიიკვლიეს პოეტის ამქვეყნიური სამყოფელი და მისი სამუდამო განსასვენებელიც მოძებნეს, მირგოროდში გურამიშვილის მუზეუმი მოაწყვეს და პოეტს მშვენიერი ძეგლიც აუგეს. ყოველივე ამის გამო უსაზღვროა ქართველი ხალხის სამადლობელი უკრაინის ხალხისადმი, გურამიშვილის უკრაინელი მოამაგეებისადმი, რომელთაც დღემდე სახელოვნად მეთაურობს ჩვენი მეგობრობის ვეტერანი, დიდი უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი.

გურამიშვილის დღევანდელ იუბილეს პოეტის სამშობლო ახალი დიდი გამარჯვებებით დამშვენებული იხდის. ეს გამარჯვებები საყოველთაოდ აღიარებულია და ჩვენი მეგობრობის საერთო აღტაცებასა და პატივისცემას იმსახურებს.

ჩვენს დღევანდელ დღესასწაულს ნათელს ადგამენ პუშკინისა და ლერმონტოვის, შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას აჩრდილები, ყველა საბჭოთა ხალხის დიდი პოეტების ნათელი აჩრდილები. მათი უკვდავი ხმები ფრთებს ასხამენ და ძალას მატებენ ჩვენს ძმობას და მოგვიწოდებენ ამ ძმობის კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

აქეთკენ, ხალხთა მეგობრობისა და ჰუმანიზმის დიდებისაკენ გვიხმობს გურამიშვილიც და ამიტომ არის უკვდავი მისი შემოქმედება.

დავით გურამიშვილი მოსკოვში ალბათ ქართველებით დასახლებულ ვსესვიატსკოეში ან პრესნაზე ცხოვრობდა. რას წარმოიდგენდა ბედისაგან გაწამებული პოეტი, რომ სულ რაღაც ორი საუკუნის შემდეგ იმავე პრესნაზე, ახალი სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში მისთვის სათაყვანებელი რუსთაველის ძეგლი აღიმართებოდა და რომ ამ ძეგლს საზეიმოდ უძლეველი საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი მეთაური გახსნიდა. ეს პატივი ქართველმა ხალხმა იმით დაიმსახურა, რომ მისი უპირველესი პოეტი ხალხთა შორის ძმობასა და სიყვარულს, მეგობრობასა და გმირობას ადიდებდა თავისი უკვდავი ქმნილებით.

ეს პატივი ქართველმა ხალხმა თავისუფლებისათვის თავგანწირული ხანგრძლივი ბრძოლით, ლენინის იდეებისადმი ერთგულებით დაიმსახურა.

რუსთაველის დიდი გზის გამგრძელებელმა დავით გურამიშვილმა გვიჩვენა თავდავიწყებამდე მისული სიყვარული მშობლიური ენისა და მშობელი ხალხისა, თავისი ჩანგი მან სამშობლოს სადიდებლად აჟღერა და ამიტომაც უკვდავჰყო სამშობლომ მისი სახელი.

ამიტომ ვიმეორებთ დღეს ჩვენც დიდი ქართველი პოეტის ლექსებით მოხიბლულ ყველა ხალხთან ერთად:

დიდება გურამიშვილის უკვდავებას, დიდება გურამიშვილის მშობელ ქართველ ხალხს!



## დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე
უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო,
უწირო.

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი
მომბრუნავია!
წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის
ნავია,
ყოველი ლხინი მუხთლისა კვლავ ისევ საჭმუნავია,
ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების, კარგი სთქვა,
გინა ავია.

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და
შვებასა;
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ
გაშვებასა.
ახლა თქვენც ხედავთ ამ ჩემსა მის გამო
პირქუშებასა,
გული დაუწვავს სახმილით სულთქვნასა და
უშებასა.

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავიდგან, ბოლო-ჟამ ისევ
წამერთო!
მან დამიკვანძა მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-
მერთო,
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე
წამერთო.

წყეულმან, ცრუვმან, მაცდურმა, ფეხთ ქვეშ
ილინჭა მომიგო,
პირველად მოყვრად მეჩვენა, ტკბილი რამ სიტყვა
მომიგო,
გამეთამაშა, მაცდინა, საცხოვრებელი მომიგო,
რა წამახდინა, გამკიცხა, „რად ჰქენო", ნიშნიც
მომიგო!

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს
სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!
მამა, დედა, ძმა თვალითა ველარა მხედავს, ა დაო,
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა ულირსადაო.

მე საწუთრომან მიმილო, რაც საბადისი მებადა,
მისგან დარწყმული მახენი თავსა ზე გარდმომება
და.
ორ-გზით კრულ შემქნა მტერთაგან, ხელთა საბელი
მებადა,
ვით ვსტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს, დღენი
მჩანს მე ღამებადა.

მშვილდს მომინივა მუხთალმა, ისარი გულში
მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო".
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო.
დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ: ვიშვილებ
ამასო.

# გურამიშვილი და სამოციანელები

ლევან მენაბდე

ქართველ სამოციანელთა თავკაცს ილია ჭავჭავაძეს ძალზე უყვარდა „დავითიანი" და ყოველთვის გატაცებით წერდა მის ავტორზე, რომელსაც „ბრძენს" უწოდებდა. იგი გაბედულად აცხადებდა: დ. გურამიშვილის „დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ". საგულისხმოა, რომ დ. გურამიშვილი ი. ჭავჭავაძემ მსოფლიო მასშტაბის მწერლების ტოლად მიიჩნია და მათ გვერდით მოიხსენია. მისი დასკვნით, დ. გურამიშვილის „სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული".

ი. ჭავჭავაძე პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქართული ლიტერატურისათვის აღმოსავლური კულტურის გავლენის ჩამოცილებას და მის ევროპულ გზაზე გაყვანას ცდილობდნენ. მან კარგად და მოხდენილად შენიშნა, რომ დავით გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში". ილიამ მახვილგონივრულად განსაზღვრა დ. გურამიშვილის ადგილი ქართულ პოეზიაში. ზემომოტანილი ფრაზა გვხვდება დაუმთავრებელ წერილში („ცისკარი" 1857 წლიდან — 1862 წლამდინა"). თავისი დებულება მან არც ამ წერილში და არც სხვაგან აღარ გაუშლია და არ განუვრცია. საფიქრებელია, ილიას იმის გახაზვა სურდა, რომ დ. გურამიშვილმა თავი დააღწია სპარსული მწერლობის გავლენით ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ „ფიგურობას და ალეგორიას". ეს სავსებით სწორი და მისაღები დებულებაა, და იმას კი არ ნიშნავს, რომ „დავითიანში" ალეგორია არ გვხვდება, აქ ისაა ხაზგასმული, რომ დ. გურამიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას სპარსული იერი არ დაჰკრავს. ამ აზრს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ელვარება.

საკმაოდ ხშირად იყენებდა ილია ჭავჭავაძე დავით გურამიშვილის გამონათქვამებს, აფორიზმებს, დარიგებებს.

წერილში „ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან" ილიამ აღნიშნა სახელოვანი მეფის დიდი დამსახურება მშობელი ხალხის წინაშე და დასძინა „მოკვდა და თავისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო". აქ მან გამოიყენა ის სიტყვები, რომლებიც დავით გურამიშვილმა პეტრე პირველზე წარმოთქვა. ეგევე გამონათქვამი გამოიყენა ილიამ გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაშიც.

წერილში „დიმიტრი ყიფიანი" დამოწმებულია სიტყვები: „სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო"; „საგაზეთო შენიშვნებში" მოხმობილია დავითისავე სიტყვები „ქაცვია მწყემსიდან"; „ქვათა ღაღადში" ილია დაბეჯითებით მოითხოვდა დამნაშავის დაუნდობელ კიცხვას: თუ მას სათანადო მსჯავრი არ დაედება, სხვაც შეცდებაო — „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდებაო;" ილია ხშირად იყენებდა ცნობილ სტროფს და „ალმა ხვნასა და დალმა ფარცხვას" ხატოვნად გმობდა.

წერილში „კვალად თვითმოქმედების შესახებ" ილია საგანგებოდ აღნიშნავდა მხნეობისა და გარჯის მნიშვნელობას, აქეთკენ მოუწოდებდა საზოგადოებას და სიტყვასიტყვით იმოწმებდა დავით გურამიშვილს: „ტყუილად კი არ გვიმოძღვრებს ჩვენი ბრძენი დ. გურამიშვილი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია, მხნე იყავ და გაძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!"

წერილში „ერი და ისტორია (დ. ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე)" ილია დაბეჯითებით აღნიშნავდა წარსულის შეცნობისა და შესწავლის აუცილებლობას, მოითხოვდა განვლილი ისტორიული გზის ავკარგიანობის გარკვევას და დასძენდა: „უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დ. გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება". ცხადია, მას მხედველობაში ჰქონდა სიტყვები: „მგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია".

საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის სიტყვა, რომელიც დიდმა მწერალმა წარმოთქვა წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სკოლის გახსნაზე: „ცოდნა... სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მომპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება". ეს ბრძნული გამონათქვამი ანარეკლია „დავითიანის" უკვდავი შეგონებისა: „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა რაზომსაც დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების; არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების".

დამატებითი მაგალითების მოხმობა, ვფიქრობთ, საჭირო აღარ უნდა იყოს. დამოწმებული მასალაც საკმაოდ წარმოაჩენს ილიას დამოკიდებულებას „დავითიანთან".

მაღალ შეფასებას აძლევდა დავით გურამიშვილს მეორე დიდი სამოციანელი — აკაკი წერეთელი. იგი დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის უცნობი საკითხებისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა და ქართული მხატვრული სიტყვის აღიარებული ოსტატის ნაკვალევს უკრაინაში ეძებდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი. „არ ვიცი, — სწერდა იგი დიდ პედაგოგს ხარკოვიდან, — რამდენ ხანს დავრჩები აქ და თუ დიდხანს დავრჩი და საშუალებაც ჩავიგდე ხელში, შინდა აქაური არქივიდან რაც კი რამე ცნობაა ვახტანგის დროის გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ ამოვაწერინო და თანაც ის ქართველი ოჯახები პოლტავის გუბერნიაში სულ მოვიარო. ამბობენ, რომ ზოგიერთებს კიდევ აქვთ ოჯახში, როგორც საოჯახო რამ ნივთი, ქართული ხელნაწერებიო. აგრეთვე სასაფლაოებზე ქართული წარწერებიაო და ეგები დ. გურამიშვილის საფლავს წავაწყდე".

ციტირებული წერილი მრავალმხრივაა საყურადღებო. როგორც ვხედავთ, აკაკის სურდა უკრაინაში დასახლებულ ქართველთა შესახებ საარქივო ცნობების ამოწერა, ქართული ხელნაწერების დაძებნა, ეპიტაფიების გაცნობა და დავით გურამიშვილის საფლავის მიგნება. იმდროინდელი უბის წიგნაკის ჩანაწერიდან ჩანს, რომ დიდი მგოსანი დავით გურამიშვილის საფლავის ძებნას მირგოროდსა და ზუბოვკაში აპირებდა. მას სავსებით სწორი ვარაუდი ჰქონია, სწორი გეზი აუღია საფლავის საძებრად, მაგრამ რატომღაც ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია.

აკაკი წერეთელი ხშირად ესესხებოდა დავით გურამიშვილს, იყენებდა მის გამონათქვამებს, თუმცა ზოგჯერ რამდენადმე სახეს უცვლიდა მათ. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს.

„ნათელაში" აკაკი ერთ ადგილას წერდა: „მამა-პაპის წაღმა ხნული შვილიშვილთა დალმა ფარცხეს და ამერეთ-იმერეთმაც ერთმანეთი დაამარცხეს".

აკაკის სიტყვები: „ვის არ უნახავს მის ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალი?" უნებლიეთ გვაგონებენ დ. გურამიშვილის სიტყვებს: „წაღმა ბრუნავმა დრო-ჟამმა უკუღმა შექმნა ტრიალი".

„უბრალო საუბარში" აკაკი გულისტკივილით წერდა თანამედროვეთა უმსგავსო მოქმედებაზე, თაღლითობაზე, თვალის ახვევაზე და დასძენდა: „დ. გურამიშვილის თქმისა არ იყოს, „სულ ბნელია, რაცა ელავს".

ცნობილ ლექსში „ჩანგური" აკაკი აცხადებდა: „სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ, თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად და მაინც არ ალვიარებ შავს თეთრად და თეთრსა შავად!" საფიქრებელია, იგი შთაგონებული იყო დავითის ბრძნული გამონათქვამით: „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?.. ვინც არა ჰგავს კაბაბერსა, მე ვერ ვიტყვი კაბაბერად".

ერთ წერილში აკაკი იმეორებდა დ. გურამიშვილის სიტყვებს: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილო, თუ ეძებ გემოვნებასა".

დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული დ. გურამიშვილის მიმართ გიორგი წერეთელიც. მას აღაფრთოვანებდა ტანჯული მგოსნის „დიდი პოეტური ნიჭი", მისი „მაღალი გრძნობით გაცხოველებული ნაციონალური პოეზია", მისი „შესანიშნავი თხზულებანი". გიორგი წერეთელს გულწრფელად აწუხებდა ის, რომ გურამიშვილის მემკვიდრეობა ნაკლებად იყო შესწავლილი, რის გამოც მისი „საფუძვლიანი დაფასება" საკმაოდ ძნელდებოდა.

„დავითიანისა" და მისი ავტორის ადგილის გარკვევისათვის ქართული მწერლობის ისტორიაში გიორგი წერეთელმა საჭიროდ მიიჩნია ძველი ქართული მწერლობის განვითარების ზოგადი სურათის მოცემა, ძველი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მოკლე მიმოხილვა. ამ მიზანს ემსახურება საყურადღებო წერილი, რომელიც მან „დავითიანის" 1870 წლის გამოცემას წაუმძღვარა. მასში მოცემულია ძველი ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა და გურამიშვილის შემოქმედების შეფასებაც.

როგორც ცნობილია, გ. წერეთელი ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი აზრით, „ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თვით ცხოვრებაზეა დაკავშირებული. როდესაც იგი გამოხატავს ნამდვილად, ზედმიწევნილი სიმართლით, ცხოვრების ვითარებას, მის გულის ტკივილს, მის გულის ჭრილობას". ასეთი იყო მისი მრწამსი. ასეთი პოზიციიდან განიხილავდა ის დ. გურამიშვილის შემოქმედებას და სწორედ იმიტომ აძლევდა ესოდენ მაღალ შეფასებას, რომ დ. გურამიშვილის „თხზულებებში მოჭორებული არა არის რა. ავტორი რასაც ამბობს, სულ მისი თვალით ნახული და გამოცდილია. ის ძალას არ ატანს თავისი აზრის გამოხატვას. პოეტმა მოგვცა „თავისი თანამედროვე სურათი ერის ცხოვრებისა: იმისი აზრი, სულისკვეთება და გაჭირვება".

გიორგი წერეთელი იმით იყო აღტაცებული, რომ დ. გურამიშვილმა მიუდგომლად ასახა თავისი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, სწორად და მართებულად გვიჩვენა სინამდვილე და მოვლენების გადმოცემისას არ შემოიფარგლა მთხრობელის როლით, არ გამოიჩინა პასიური ობიექტურობა.

გ. წერეთელმა მართებულად გაიზიარა დ. გურამიშვილის მემკვიდრეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და სწორად შენიშნა, რომ ის არა მხოლოდ „მღაღადებელია ახალი დროისა", არამედ უადრესად მგრძნობიარე მამულიშვილი და ჭეშმარიტად „ნაციონალური პოეტი, რომელმაც მის დრომდის ნაციონალურ კილოზე მოლექსეთა ბევრად გადაამეტა ღრმა პოეტური გრძნობით, აზრით და უფრო გაცხოველებულის სურათების გამოხატვით".

საინტერესოა გ. წერეთლის დაკვირვება „დავითიანის" კომპოზიციასა და ლექსზე. „დავითიანის" ცალკე თავები სხვადასხვა დროსაა დაწერილი. მართალია, ავტორი ერთი ამბით არ იფარგლება, მას შეკრული სიუჟეტი არა აქვს, მაგრამ მისი წიგნის „ყოველს თავს დიდი ღირსება აქვს. ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, ყოველი თავი შეადგენს გაწყობილს ღაღადებას ერთს რომელსამე საგანზე და ეს თავები ძვირფასი ქვებივით ბრწყინავენ მრავალგვაროვნებით".

გიორგი წერეთელი არა მარტო მაღალ შეფასებას აძლევდა გურამიშვილს, არამედ ზოგჯერ სარგებლობდა მისი პოეტური სტრიქონებით და მოხდენილად აქსოვდა თავის ნაწერებში.

ქართველ სამოციანელთა ცნობილმა წარმომადგენელმა, თერგდალეულთა ერთ-ერთმა აღიარებულმა ხელმძღვანელმა ან ფალავანმა, — როგორც მას ი. ჭავჭავაძე უწოდებდა, — ნიკო ნიკოლაძემ რამდენჯერმე დაიმოწმა დ. გურამიშვილის გამონათქვამები და სცადა მისი დამსახურების წარმოჩენა.

ნიკო ნიკოლაძის დაკვირვებით, გურამიშვილი პირველი მწერალია, რომელიც ახლოს მივიდა ცხოვრებასთან, გაითვალისწინა თანამემამულეთა ჯულის ზრახვები და სწორად ასახა თავისი დროის ქართველი საზოგადოებრიობის ყოფა.

ქართული პედაგოგიური აზროვნების [illegible] გოგებაშვილი [illegible] „გენიოსს და ტალანტს", „მეტად ნიჭიერ პოეტს დ. გურამიშვილს, რომლის თხზულებანი [illegible]რი და მეტად ადვილი ქართული ენით". რამდენჯერმე დაიმოწმა კიდეც მისი გამონათქვამები. მაგალითად, ერთ შემთხვევაში დაიმოწმა სიტყვები: „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების"; სხვა შემთხვევაში გამოიყენა ცნობილი სტროფი: „ვით მამალი სხვის მამულსა..."; „საგრამატიკო ბაასში" შეიტანა „დავითიანის" ერთი ტაეპი: „ჩემს უკან მდევართ გარდვურჩი იმ წოლით დღითა სამითა".

იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენასა" და „ბუნების კარშიც" შეიტანა დ. გურამიშვილის თხზულებათა ნაწყვეტები.

„დავითიანიდან" „დედა ენაში" დაბეჭდილია შემდეგი გამონათქვამი: „ყრმა სწავლაში მომშვიდდება, რკინა ცეცხლში გარბილდება, სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდება". დამწერლობის (ხელის) ნიმუშად იქვე დაბეჭდილია „დავითიანის" ერთი ნაკვეთიდან („სწავლა მოსწავლეთა") ამოღებული ორი სტროფი. იგივე სტროფებია გამეორებული „ქართული წერის დედანშიც". უხვადაა წარმოდგენილი „დავითიანის" სტროფები „ბუნების კარში". იქ დაბეჭდილია „დავით გურამიშვილის ლექსთაგან დატყვევება", „ტყვეობიდგან გაპარვა დავითისა", „სწავლა მოსწავლეთა" და სხვ. თუ არ ჩავთვლით ორიოდე უმნიშვნელო ცვლილებას, ი. გოგებაშვილს „დავითიანის" ენისათვის ხელი არ უხლია, ოღონდ რამდენადმე შეუკუმშავს ტექსტი.

ამრიგად, ქართველი სამოციანელები კარგად იცნობდნენ დავით გურამიშვილის პოეზიას, ერთობ მაღალი წარმოდგენისა იყვნენ მასზე და ხშირად იყენებდნენ მის ბრძნულ გამონათქვამებს.

# დავით გურამიშვილი

## შენიშვნები და პარალელები

სარგის ცაიშვილი

### 5. ფხოვლელი იანვარასა და „ქალ-კახეთის ჯვარობის ამბავი"

1. „დავითიანში" პოეტის ტყვეობისა და ტყვეობიდან გაქცევის ეპიზოდებს, რომლებიც პლასტიკურად ნაწერ დეტალებთან ერთად საოცარი პოეტური ხილვებითაა გასხივოსნებული, აგვირგვინებს „სარუსეთოში" გასვლის სცენა.

აქ ერთ სტროფში, როგორც იტყვიან, სალებავის ერთი მოსმით, მეტყველადაა გადმოცემული ტყვეობიდან თავდახსნა, მოულოდნელ მფარველთა დარწმუნება, რომ იგი მათი მოყვარე-ქრისტიანია და არა მომხდური-მტერი: — „წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო, დამაწერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო, კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს მაყაყანესო, - მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?".

გასაგებია, თუ რატომ „აყვირეს და აყაყანეს იგი", — იმათ ქართული არ იცოდნენ, ხოლო დავითმა რუსული და აი, ამ ეპიზოდში ნახსენებია ვინმე მოენე (თარჯიმანი) ფხოვლელი იანვარა, რომელიც მოუწვევია რუს-ყაზახს („სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო").

როგორც ცნობილია, უკვე მე-17 საუკუნიდან მაინც დაღესტანში თუ ყიზლარში საქმიანობდნენ, ცხოვრობდნენ და კიდეც სახლდებოდნენ სხვადასხვა მიზეზით, მეტწილად კახეთიდან და თუშეთიდან გადასული ქართველები, აქვე ჰპოვა აგრეთვე თავშესაფარი პოლიტიკური თუ სხვა მიზეზით ემიგრაციაში მყოფმა ქართველ დიდგვაროვანთა არაერთმა წარმომადგენელმა (სხვათაშორის, სწორედ ყიზლარში დაიბადა შემდეგში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბოროდინოს გმირი, პეტრე ბაგრატიონი).

მაგრამ მაინც ვინ, ან საიდან იყო წარმოშობით ეს ქართველი კაცი, რომელიც შემწედ (და იქნებ მეგზურადაც) მოევლინა დავით გურამიშვილს?

ვინაობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ წარმომავლობაზე პასუხი გადაჭრითაა გაცემული. „დავითიანის" 1931 წლის გამოცემის საკუთარ სახელთა ცნობარში (ავტორი ს. იორდანიშვილი) ვკითხულობთ: „იანვარა-ფხოველი ფშაველი კაცის სახელი), თარჯიმანი, მოენე". დაახლოებით მსგავსი განმარტებაა ივ. გიგინეიშვილის ლექსიკონშიც; რომელიც ერთვის „დავითიანის" 1955 წლის გამოცემას: „ფხოველი — ფხოელი, ფხოვის მკვიდრი, ფშაველი".

მაგრამ ჩემის აზრით ასეთი განმარტება არ უნდა იყოს ზუსტი. დაეჭვებას იწვევს არა მხოლოდ ის, რომ, როგორც ისტორიულად ცნობილია, მეურნეობის წესისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ საუკუნეებში ფშავლები ნაკლებად მოძრაობდნენ კავკასიონის გადაღმა, ყიზლარის მიმართულებით, არამედ ჩვენთვის უცნობი თარჯიმანის წარმომავლობისა თუ ზედწოდების ფორმა: ფხოვლელი (ასეა ტექსტში).

ნაკლებ საფიქრებელია, რომ ამ დროს ე. ი. მე-18 საუკუნისათვის ფშაველ კაცს ზედწოდებად (ან წარმომავლობის მაჩვენებლად) ჰქონოდა ფშავ-ხევსურეთის ისტორიული სახელიდან „ფხოვიდან" მომდინარე საკუთარი სახელი (სხვათაშორის თვით გურამიშვილი კარგად იცნობს ამ კუთხეს და მას „ფშავს" უწოდებს. „იხ. „ქართლის ჭირი" სტრ. 818). ასევე საეჭვოა იგი მომდინარეობდეს ამავე კუთხის ძველი სოფლის „შუაფხოს სახელიდან". ორივე შემთხვევაში მაშინ გვექნებოდა „ფხოველი" ან „შუაფხოელი", ხოლო გურამიშვილთან, როგორც ვნახეთ, დადასტურებული გვაქვს განსხვავებული ფორმა ფხოვლელი".

მაშასადამე, „ფხოვლელი" ბუნებრივად უნდა მომდინარეობდეს სახელიდან „ფხოველი" (ე. ი. „ფხოველი" — „ფხოველელი" — „ფხოვლელი") და აქ მე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ ფაქტზე.

კახეთში ადრევე და დღესაც, მართლაც, არსებობს სოფელი ფხოველი.

ხოლო თუ საიდან გაჩნდა იგი კახეთში, ამაზე არსებობს კიდეც სპეციალური ლიტერატურა. როგორც ცნობილია, მთის მოსახლეობის ბარად მიგრაციის ბუნებრივი პროცესი ჩვენში ადრევეა დაწყებული და ამაზე მრავალი ცნობაც მოგვეპოვება. ისტორიკოსი დავით მუსხელიშვილი მონოგრაფიაში „უჯარმა" (1966 წ.) აღწერს რა ასეთი მიგრაციის ტოტალურ პროცესს, ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამას გარდა მთიელების ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორიცაა: ფშაველი (ფშაველნი) — ქიჩაკვის ხევზე, ფხოველი (ფხოველნი) — ლაკბეს ხევში. ეს ექსპანსია დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც. კერძოდ ამის მოწმობაა, რომ გალმახარისა და შიგნიკახელები სალოცავად ხატობაში ივრის ხეობაში დადიან, ლაშარობისას — ხატხევში (ფშავში, იხ. ვ. ბარდაველიძის მასალები) და გიორგობას — ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიაში (გვ. 40).

აღნიშნული სოფელი „ფხოველი", როგორც ითქვა, დღესაც არსებობს კახეთში, გურჯაანის რაიონში, სადაც აწ გაკახელებული მთიელები ცხოვრობენ (სხვათაშორის, აქედანვეა ნაწარმოები კახეთში გავრცელებული გვარი ფხოველიშვილი, ხოლო მათი საგვარეულო გადმოცემით ისინი სწორედ კახეთში არსებული სოფლიდან, „ფხოველიდან" არიან გამოსულნი).

ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფხოვლელი იანვარა სწორედ კახეთიდან (ალბათ, თუშეთის ან ჭარ-ბელაქნის გზით) ყიზლარში წასული ქართველია, სწორედ ლაკბეს ხევზე მდებარე სოფელ ფხოველიდან, რასაც ჩემის აზრით, ენობრივი მონაცემებიც უჭერს მხარს.

ამას ხელს არ უშლის არც სახელი იანვარა, რომელიც, მართლაც, ძალზე გავრცელებულია ფშავში (იხ. ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი), რადგან ჩვენ ეს სახელი (მისგან ნაწარმოები გვარიც „იანვარაშვილი") დავადასტურეთ აგრეთვე საკმაოდ ძველ საბუთებში და გავრცელებულია იგი საქართველოს ბარის რაიონებშიც. ამასთან შესაძლებელია, ისიც, რომ მთიდან კახეთში ჩამოსახლებულთ ეტარებინოთ ძველი, მათთვის უკვე ტრადიციული სახელები.

II. „დავითიანი" მე-18 საუკუნის საქართველოს არამარტო მხატვრული მატიანეა, არამედ აქ დიდძალ მასალას იპოვის მკვლევარი როგორც ფოლკლორული, ისე ქართული ყოფის, ძველი საქართველოს სხვადასხვა ჩვეულების თუ საზოგადოდ ეთნოგრაფიული ფაქტების შესწავლისათვის.

ამჟამად კი მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ, ჩემის აზრით, საინტერესო, მაგრამ ჩვენთვის უცნობ საკუთარ სახელსა თუ რიტუალზე, რომელიც ფიქსირებულია „დავითიანში".

იგი დასტურდება ერთ-ერთი სასულიერო ხასიათის ლექსის სათაურში: „სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობას სანაცლოდ სათქმელი". ლექსი ძირითადად დიდაქტიკურია და ავტორი არიგებს ახალგაზრდას, ყრმას, რომ იგი არ აჰყვეს წუთიერ ცთუნებათა გზას, რომელიც ნიადაგ უფსკრულის ნაპირს მიჰყვება. სიფრთხილეა საჭირო, რათა საბოლოოდ კაცი არ ჩავარდეს ცოდვის ორმოში (აქაც, როგორც ზემოთ, ისევ მისტიურ „ორმო-ხნარცვზე" საუბარი).

სათაურში კი პოეტი ჩვეულებრივ სთავაზობს მკითხველს, რომ სწორედ ისეთ ხალხურ კილოზე ე. ი. ქალ-კახეთის ჯვარობაზე რომ მღეროდნენ, შეასრულონ მისგან შეთხზული სასულიერო ხასიათის ლექსი (შდრ. აგრეთვე ლექსი: „აქა წმინდა კოპალეს სანაცლოდ სამღერალი", და სხვ.).

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს იგი ან რა იგულისხმება „ქალ-კახეთის ჯვარობაში"? (აქ რომ რაიმე უნებლიე ცთომილება არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ თვით ავტორის მიერ დართულ „ზანდუკში" ასევე „ქალ-კახეთის ჯვარობაა" დამოწმებული).

სამწუხაროდ, ამჟამად ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, მით უფრო, როგორც საკითხის შესწავლამ გაარკვია, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით „დავითიანი" სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა (ისე კი ვინც „დავითიანს" კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი ამ კუთხითაც გარკვეულ ინტერესს აღძრავს!).

მიუხედავად ამისა, მე მაინც გავუმჟღავნებ მკითხველს ზოგიერთ ვარაუდს. „ქალ-კახეთი" იქნებ აწ დაკარგული ტოპონიმია ან უკეთ ხატის ადგილის სახელია საგურამოს (ისტორიული „ხერკის"), არაგვისპირისა ან ერწო-თიანეთის მხარეში, სადაც იმართებოდა ასეთი სახელწოდების წარმართული, ან ნახევრად წარმართული დღეობა, რომელსაც ალბათ დასწრებია კიდეც პოეტი (შდრ. „ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვამდეს არ ავ ჯუბანსა", სტრ. 824).

აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ყველაფრიდან ჩანს, რომ პოეტი ამ დღესასწაულს იგონებს მრავალი ათეული წლის შემდეგ შორეულ უკრაინაში. იქნებ აქ უბრალოდ გადასმულია შესიტყვების რიგი და იგულისხმება „კახეთის ქალ-ჯვარობა"? ასეთი არც დღეობაა მოულოდნელი და არც ტოპონიმი. ხოლო ქალღვთაებასთან დაკავშირებული როგორც წარმართული, ისე ქრისტიანულად ტრანსფორმირებული კულტების შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941, გვ. 6-84, აგრეთვე ქალთა სალოცავებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალები ს. მაკალათიას წიგნებში „ფშავი", „ხევსურეთი" და სხვ.

რაც შეეხება ამ ტიპის ტოპონიმს (ან ხატის ადგილს), ესეც გავრცელებულია ჩანს საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, კი სწორედ საგურამოდან არც ისე შორეულ ადგილებში. მაგალითად, მთიულეთში დასტურდება ადგილის სახელები, რომლებიც მსგავს წარმოებას ამხელენ. მაგ. ქალთუბანა სოფ. ყოჟონთან, ქალციხენი სოფ. ყველაანთან, ქალთგორი სოფ. სეფესთან, (ეს მასალები მოგვაწოდა ენათმეცნიერმა გიგი ხორნაულმა), ასევე სულ ახლახან მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალ ნაწარმოებში „მთას დაუბრუნდა მთიელი" თუშეთში დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „ქალჯვარის ტყეები" და ა. შ. სადაც თავდაპირველად ქალთა დამოუკიდებელი სალოცავების არსებობის გამო ჩნდებოდა მსგავსი სახელწოდებანი.

იქნებ ასეთი იმდროისათვის სახელგანთქმული „ქალჯვარობა" იმართებოდა კახეთში, რომელიც ზემოთაღნიშნული ფორმით შემორჩა პოეტის მეხსიერებას?

არის სხვა ვარაუდებიც. მათ შორის შესაძლოა, რომ აღნიშნულ ფრაზაში „ქალ-კახეთის ჯვარობა" ნაგულისხმევია ქალების „სათქმელი" სიმღერა: „ხმით ნატირლები" ან მსგავსი რამ, რაც აგრეთვე საკულტო რიტუალების დროს სრულდებოდა. იქნებ მასვე მიუთითებდეს თვით სასიმღერო კილოც, რომელიც დადასტურებულია გურამიშვილთან („ყრმავ გონება უგუნური, აგონიარეო, თავს ნუ გახდი ულონოდა, აღონიარეო").

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესდებიან როგორც ქართულ ტოპონიმიკაზე, ისე ძველქართულ წარმართულ რიტუალებზე მომუშავე სპეციალისტები.

ამასთან როგორც ზოგიერთმა დაკვირვებამ გვიჩვენა, „დავითიანის" ყოველმხრივი შესწავლისათვის, იგი კი ამას ყოველმხრივ იმსახურებს, მომავლისათვის უფრო ფართო ხასიათის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო.

### 6. რამდენიმე შენიშვნა „დავითიანის" ტექსტოლოგიიდან

ყველაფრიდან ჩანს, რომ დავით გურამიშვილს თავისი ძირითადი თხზულებები მოგვიანებით შეუქმნია. ალბათ მას შემდეგ, როცა იგი 1759 წლიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული საბოლოოდ დაუბრუნდა თავის სახლკარს. ალბათ წლების მანძილზე ბრძოლებსა და ტყვეობაში თანდათან მწიფდებოდა ის დიდი პოეტური სათქმელი, რომელიც საბოლოოდ გამოიკვეთა „დავითიანის" ფურცლებზე. შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს იყო ალბათ ძალზე მტკივნეული მოლოდინი, რომელიც წინ უძღოდა „დავითიანის" საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

პოეტი ხელსაყრელ ვითარებას ელოდა, რათა ქაღალდზე გადაეტანა ყველაფერი, რაც ცხოვრების მიწურულს ჯერ კიდევ შემორჩა მის პოეტურ შთაგონებას, გამოეტანა პირუთვნელი მსჯავრი „მრუდი საწუთროს ჩარხის ტრიალის" გამო.

ანდერძნამაგის ტოლფას მის ერთ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება" ძალზე მეტყველადაა გადმოცემული ეს მწველი შიში: „რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა, ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა".

წიგნის ბედი ხშირ შემთხვევაში ავტორისას წააგავს. „დავითიანმა", შეიძლება ითქვას, რაღაც სასწაულებით გაიკვლია გზა. შორეული უკრაინიდან „დავითიანის" სამშობლოში ჩამოტანის პატივი, როგორც ვიცით, ერეკლე მეორის ვაჟს, მირიან ბატონიშვილს ეკუთვნის.

მკითხველისათვის ნათელია ალბათ, თუ რა კატასტროფა ელოდა გურამიშვილის შემოქმედებას, რომ მირიან ბატონიშვილს აღნიშნული ავტოგრაფი (მასშივე ჩართულ გურამიშვილისეულ ტექნიკურ გამოგონებებთან ერთად) დაღუპვისაგან არ გადაერჩინა. ამასთან ჩვენ არ გვექნებოდა „დავითიანის" თვით იმ მეორეხარისხოვან ნუსხათა უმეტესობა, რომელთაგან შედარებით სრული და უმჯობესი ისევ და ისევ ამავე ავტოგრაფიდან არიან გადაწერილნი.

ამჟამად დავით გურამიშვილის ათამდე შედარებით სრული გამოცემა არსებობს. მათ შორის მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა 1931 წლის (ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით) და 1955 წლის გამოცემები (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი. გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. ბარამიძე).

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ეს გამოცემა შუალობით თუ უშუალოდ ძირითადად აღნიშნულ ავტოგრაფულ ნუსხას ეყრდნობა. 1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემები აქა-იქ „დავითიანის" მოგვიანო ნუსხების ვარიანტულ წაკითხვებსაც ითვალისწინებენ.

თუმცა „დავითიანის" აკადემიური გამოცემის განხორციელებას მომავალში ალბათ კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება. ეს აშკარად ცხადყო ქართველ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ტექსტოლოგიურმა შენიშვნებმა (ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ს. იორდანიშვილის, კ. კეკელიძის, ვ. დონდუას, ივ. გიგინეიშვილის, ალ. ჭინჭარაულის და სხვ. მკვლევართა დაკვირვებები).

პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მზადდება პოეტის თხზულებათა ახალი გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ მკვლევართა შენიშვნებს. ამასთან გამოცემაში შეტანილია ზოგი ახალი ცვლილებაც, რომელთაგან აქ მოვიტანთ რამდენიმეს.

მაგრამ, აქ წინასწარ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. მიუხედავად ზემოთქმულისა, რომ დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს პოეტის ავტოგრაფი და „დავითიანის" რამდენიმე არც თუ ურიგო ხელნაწერი, ტექსტის აღდგენას მაინც ელობება სხვადასხვა ტიპის დაბრკოლება. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ძალზე მრავალფეროვანია პოეტის ენობრივი სამყარო. იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, მწიგნობრულისა და ხალხური, სასაუბრო მეტყველების მიჯნაზე არსებობს. ეს თითქმის თანაბრად ეხება, როგორც მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურ ენობრივ მოვლენებს, ისე „დავითიანში" გამოყენებულ ლექსიკას. პოეტის რიგი შემოქმედებითი თავისებურებანი, მისი სწრაფვა რომ რთული, ფილოსოფიური ხასიათის ძიებები გამოხატოს სადა, საყოველთაოდ გასაგები ფორმებით, განაპირობებენ იმას, რომ ზოგჯერ მწიგნობრულ, სასულიერო მწერლობიდან მომდინარე ფორმებისა თუ ტერმინების გვერდით ბუნებრივად თანაარსებობენ ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებიდან შეთვისებული ენობრივი ფაქტები (რომელთა მეტი წილი, ბუნებრივია, პოეტის მშობლიური კუთხიდან, საარაგვოდან იღებს სათავეს). ამიტომ ტექსტის გააზრების დროს, მით უფრო, როცა ხელნაწერში შემთხვევითი ცთომილებაა, მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა ტექსტის აღდგენის დროს გაითვალისწინოს ეს სირთულეები.

დასტურად მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. გურამიშვილის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში „ზუბოვკა" დასკვნით სტროფებში მეორდება შემდეგი სტრიქონები:

„ქვესკნე[ლ]სა ვარ, ვერა
გხედავ,
მეგულვები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ,
წამიყვანე მანდა..."

ავტოგრაფში ხაზგასმული სიტყვა წარმოდგენილია ასე „ქვესკნესა". „დავითიანის" გამომცემლებს სამართლიანად შეუმჩნევიათ, რომ აქ ცთომილებაა (ალბათ უნებური) და აღუდგენიათ იგი კვადრატული ფრჩხილების გამოყენებით. სიტყვიდან „ქვესკნელი" მიცემით ბრუნვაში გვექნება „ქვესკნელსა" და ასეც აღუდგენიათ იგი 1931 წლისა და 1955 წლის გამოცემებში. მართლაც, „ქვესკნელი" ძალზე გავრცელებული სიტყვაა და ასეც დასტურდება იგი ძველ, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსის ტექსტებში. აღსანიშნავია, რომ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი" სიტყვას „ქუესკნელი" სხვა ფორმით არ იცნობს. ეგევე ფორმა დასტურდება სულხან-საბასთანაც: „ქუესკნელი — ჯოჯოხეთი".

მაგრამ ირკვევა, რომ გურამიშვილთან გასათვალისწინებელია ზოგი სხვა მომენტიც. დიალექტურ მეტყველებაში, მათ შორის იმ კილოებში, რომლებიც ახლოსაა გურამიშვილის ენასთან, დასტურდება ამ სიტყვის პარალელური ფორმებიც: ქვესკნელი, ქვესკნეთი, ქვესკნი, რაც ტექსტის აღდგენის დროს აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. იმავე გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის" 31-ე სტროფში ასევე დიალექტური ფორმით და ასევე მიცემით ბრუნვაში სწორედ ზემოაღნიშნული სავარაუდო დაწერილობითაა იგი წარმოდგენილი:

„არ ჩამოეხსნა კეკია ქარი,
სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს
ზამთარი".

ასეთივე ფორმითაა ეგევე სიტყვა ლექსში „გალობა", რომელიც როგორც ავტოგრაფული ნუსხიდან ჩანს, პოეტის ერთ-ერთი გვიანდელი ნაწარმოებია და ზოგ სხვა ლექსთან ერთად საბოლოო რედაქტირების დროს არის ჩამატებული „დავითიანში". (ასევე დასტურდება გურამიშვილთან კვეცილი ფორმა ამავე სიტყვისა „ქვესკნი". იხ. 1955 წ. გამოც. გვ. 23, სტრ. 14,4).

მაშასადამე, თუ აღნიშნული სიტყვის ავტოგრაფისეულ წაკითხვას „ქვესკნესა" უნებურ ცთომილებად ჩავთვლით და ეს, მართლაც, ასე ჩანს, მაშინ იგი უნდა აღვადგინოთ ისევე, როგორც ნიშანდობლივია გურამიშვილის ენისათვის ე. ი. ფორმით „ქვესკნე[თ]სა ვარ" და არა ლიტერატურულ-მწიგნობრული ფორმით „ქვესკნე(ლ)სა", როგორც ეს „დავითიანის" ადრეულ გამოცემებშია. (შდრ. აგრეთვე „ქართლის ჭირის" 184-ე სტროფის პირველი სტრიქონი: „ქვეყნად ძე მოკლეს უგბილთა, არ[...]მა ზესკნეთოვანი" და ა. შ.).

მაგრამ არის რიგი შემთხვევები, როცა „დავითიანის" ადრეულ გამოცემებში არასწორად მიუჩნევიათ ან უნებურ ცთომილებადაა ჩათვლილი ავტოგრაფის ესა თუ ის წაკითხვა. ასეთი არცთუ ცოტა შემთხვევა დასტურდება და ეს აღნიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ მხოლოდ ასეთი ტიპის ერთ ახალ დაკვირვებას გავაცნობ მკითხველს.

„ქართლის ჭირის" იმ თავში, სადაც ავტორი ქართველთა მიერ [...]ცთურ გზაზე მიდრეკას აღნიშნავს, რაც ერთი უმთავრესი მიზეზი შეიქნა თავსდამტყდარ უბედურებათა, პოეტი დასძენს, რომ ყოველივე ამან ღვთის რისხვა გამოიწვიაო. 155-ე სტროფში ვკითხულობთ:

„მან ბრძენთა ბრძენმან რა" ეს
სცნა, ბრძანა აღება ხელისა,
რისხვით გაშვება მის თემთა,
გარდახდა საფარველისა,
მ ი უ გ ო: რჯულთა გამრყვნელნო
ახალისა და ძველისა!
თქვენცა იხილოთ ამიერ
მოსპოლვა საფუძველისა!"

ასე იკითხება ეს ადგილი 1931 და 1955 წლების გამოცემებში, მაგრამ ხაზგასმულ სიტყვასთან შენიშვნაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ავტოგრაფულ ნუსხაში დადასტურებული ყოფილა წაკითხვა „მოუგო", რაც გამომცემელთ ასევე უნებურ ლაფსუსად მიუჩნევიათ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ავტოგრაფში ამ ადგილას ყველაფერი რიგზეა. აქ სიტყვა „მოუგო" ძველი ქართულის კვალობაზეა წარმოდგენილი, როცა მნიშვნელობით გამიჯნული იყო „მოგება" და „მიგება" (შდრ. სულხან-საბა: „მიგება — პასუხის მიცემა"; „მოგება — პასუხის მოცემა").

ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გურამიშვილი ზემოაღნიშნულ ეპიზოდში აშკარად ბიბლიურ თემას გადმოგვცემს და ლექსიკაცა და საერთოდ ენობრივი ფაქტურაც მწიგნობრული ხასიათის სტილისტური ნიშნებითაა აღბეჭდილი. მართლაც, სხვაგვარ ფორმებს არ იცნობს სახარება, მაგალითად „არას მოუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?" მარკოზ, 14,60; „უკუეთუ გკითხო, ვერარაჲ მომიგოთ", ლუკა, 22,68 (ასევე სახარების გავლენითაა ამავე ეპიზოდში ხმარებული სიტყვა: „მოსპოლვა". შდრ. „მოხედვაჲყო მოსპოლვად ყუედრებაჲ ჩემი კაცთა შორის" ლ. 1,25 და ა. შ.). ამდენად, არა მგონია აქ საჭირო იყოს, რომ უნდა აღდგეს ავტოგრაფული ხელნაწერის მართებული ფორმა. ზოგი ასეთი შემთხვევა, როგორც ითქვა, მითითებულია სხვა მკვლევართა მიერაც და, რასაკვირველია, ეს დაკვირვებანი უნდა აისახოს პოემის ახალ გამოცემაში.

„დავითიანის" ჩვენს ხელთ არსებული ავტოგრაფული ნუსხა, როგორც ითქვა, მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებშია გასრულებული, როცა პოეტი ღრმა სიბერეში იყო გადამდგარი. აკი წერს კიდეც: „ცალი თვალით ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედევდი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძლეო". 1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემათა მესვეურებმა ბევრი უნებლიე შეცდომა შეამჩნიეს და გაასწორეს კიდეც, დანაკლისი ასოები კვადრატული ფრჩხილებით აღადგინეს, ხოლო ზოგ შემთხვევაში დედნის მცდარი წაკითხვა სქოლიოში ჩაიტანეს, რაც მეცნიერული თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

მაგრამ ამ მიმართულებით ტექსტზე დაკვირვება შემდგომშიაც უნდა გაგრძელდეს, „დავითიანის" ზოგი ადგილი აშკარად დამახინჯებულია და სათანადო გაშიფრვას მოითხოვს. ერთი მაგალითი „დავითიანის" უახლოეს გამოცემაზე მუშაობიდან (მას გამოსაცემად ამზადებს „საბჭოთა საქართველო" და ალბათ, საიუბილეო დღეებში მიიღებს მკითხველი):

„ქართლის ჭირში" 63-ე სტროფი იწყება სტრიქონით: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნაობ-ბინდობა..." ტექსტზე მუშაობისას ჩემი ეჭვი აღძრა კომპოზიტის „ნაობ-ბინდობა" პირველმა სიტყვამ. რას უნდა ნიშნავდეს აქ სიტყვა „ნაობ"? ეს კიდევ უფრო ცხადი შეიქმნა, როცა რუსულად ამ ადგილის პწკარედულ თარგმანზე მიდგა საქმე. 1955 წლის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული არაა, ხოლო 1931 წლის ლექსიკონში სოლომონ იორდანიშვილს იგი ასე განუმარტავს: „ნაობ — ბინდობა" გავსება — კლება, დღის დადგომა და ღამის შემოსვლა". როგორც ჩანს, იგი მკვლევარს კონტექსტის მიხედვით განუმარტავს, თუმცა ასეთი სიტყვა „ნაობი" ჩვენ ვერსად დავადასტურეთ. ფაქტია რომ აქაც ტექსტის რაღაც უნებურ დამახინჯებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს ჩემი ეჭვი გავუზიარე „დავითიანის" ახალი გამოცემის რედაქციის წევრსა და ლექსიკონის ავტორს ივანე გიგინეიშვილს, რომელმაც ასევე დაადასტურა რომ აქ, მართლაც, რაღაც უნებლიე ლაფსუსი უნდა ვიგულოთ. მანვე შემდეგში გამოთქვა ჩემის აზრით, მართებული ვარაუდი: „ნაობ" ხომ არ არის სიტყვის „ნათობ" დამახინჯების შედეგი? ჩანს, „დავითიანის" ავტორს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქ გამორჩენია ასო „თანი", რამაც სავსებით დაუკარგა სახე აღნიშნულ სიტყვას. მკვლევარის ვარაუდს სავსებით დაუჭირა მხარი შემდგომმა დაკვირვებამ. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მთელი სტროფის მხატვრული სტრუქტურა: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნათობ-ბინდობა, ავდარობა და დარობა ცის მოღრუბლვა და წმინდობა; ხან მოსწავს ნამთა სიმცირე, ხან ალპობს ღვართა დიდობა, დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა".

ბედის მუხანათური ცვალებადობა გურამიშვილს აქ კონტრასტული მხატვრული ხერხითა აქვს გადმოცემული. დაპირისპირებულ წყვილებს ქმნიან ნათელი და ბინდი, ავდარი და დარი, ღრუბლიანი და მოწმენდილი ცა, გვალვა და მწვიმარე ამინდი. ამდენად, აქ თავდაპირველად, მართლაც უნდა ყოფილიყო სიტყვა „ნათობა", რაც, როგორც ითქვა, დაპირისპირებულ წყვილს ქმნის სიტყვასთან „ბინდი". ანალოგიური სახე — ფიგურა, სხვათაშორის გურამიშვილს სხვა ადგილასაც აქვს: „ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბია დღე ნათლიერი", რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოთმოტანილი დაკვირვების მართებულობას. უფრო მეტიც, იმავე „ქართლის ჭირის" 549-ე სტროფში დასტურდება სავსებით ანალოგიური ფრაზა: „ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია". რასაკვირველია, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ახალ გამოცემაში კვადრატული ფრჩხილების წესით მაინც უნდა აღდგეს პოემის აშკარად დაზიანებული ადგილი.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით „დავითიანის" სხვა სირთულეთა შორის ცალკე აღსანიშნავია ე. წ. „მაჯამური" გარითმვის წესით წარმოდგენილი სტროფები. მიუხედავად სინათლისა და სისადავისაკენ ბუნებრივი სწრაფვისა, „მაჯამათა" სპეციფიკურობის გამო აქ მრავალგან ვპოულობთ ძნელად ამოსაშიფრ ადგილებს. ამ მიმართულებით კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კ. კეკელიძესა და სხვა ქართველ მკვლევარებს, რომელთა დაკვირვებების დიდი ნაწილი მართებული ჩანს და, რასაკვირველია, მათ ითვალისწინებს პოემის ახალი გამოცემა. ასევე ცალკე საკითხთა წრეს ქმნის „დავითიანში" დადასტურებული პარალელურ ფორმათა სიუხვე („წყემსი" და „მწყემსი", „ხრმალი" და „ხმალი", „საწუთრო" და „საწუთო", „სიფთხილე" და „სიფრთხილე" და მრ. სხვ.), ორთოგრაფიული ნაირობა და მრავალი სხვა, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მისივე ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი სიჭრელით გამოირჩევა, ასევე მნიშვნელოვანია კომპოზიტთა დაწერილობის საკითხი, რომელთა უნიფიცირებაც ასევე აკადემიური გამოცემის მესვეურთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

როგორც წინა წლების (განსაკუთრებით 1931 და 1955 წ.წ.), ისე ახალი გამოცემა, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ, რასაკვირველია, ნაწილობრივ თუ უპასუხებს „დავითიანის" ტექსტოლოგიის ყველა საკითხს.

დავით გურამიშვილის თხზულებათა მეცნიერული თვალსაზრისით ყოვლისმომცველი აკადემიური ტექსტის გამოცემა ქართული ფილოლოგიის კიდევ ერთი აუცილებელი და საშური საქმეა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" №№ 39, 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი ო ს ე ბ  ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი

## ნაწყვეტი მოგონებიდან

# გურამიშვილის საფლავთან

ალექსანდრე ბარამიძე

დავით გურამიშვილის ლექსების განთქმული ავტოგრაფული კრებული და არზა მირიან ბატონიშვილის სახელზე დათარიღებულია 1787 წლის სექტემბრის თვით. ჯანგატეხილი, ცალი თვალით ბრმა და მეორითაც ცუდად მხედველი მოხუცი პოეტი მაშინ იყო 82 წლისა. უცნობი იყო მისი შემდეგდროინდელი თავგადასავალი. ყველა ფიქრობდა, რომ დამოწმებული თარიღის ახლო დროს დავითი უნდა გარდაცვლილიყო. ამაოდ ეძებდნენ სახელოვანი წინამორბედის საფლავს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. გურამიშვილის ცხოვრების უკრაინული პერიოდის შესწავლას ჩვენ დროში ბეჯითად შეუდგა მწერალი და მკვლევარი დმიტრო კოსარიკი. შედეგმაც არ დააყოვნა. პოლტავის სახელმწიფო არქივში კოსარიკმა მიაგნო მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების სამრევლო ტაძრის მიცვალებულთა სარეგისტრაციო მეტრიკის წიგნს. ამ წიგნის ჩანაწერის თანახმად, თავად დავით გურამოვს მრევლის მღვდელ რომან შაფრანოვსკისაგან მიუღია საიდუმლო ზიარება და გარდაცვლილა 1792 წლის 21 ივლისს (ახალი სტილით 1 აგვისტოს). ამით ისიც ცხადი გახდა, რომ გურამიშვილი უნდა დაესაფლავებინათ მიძინების ტაძრის ეზოში საპატიო ადგილას. ტაძრის ძველი მსახურის, მირგოროდის მკვიდრის ათანასე ლუკას ძე მალიარის დახმარებით დ. კოსარიკმა მოძია პოეტის საფლავიც, ასე გაირკვა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

მეორე სამამულო ომის დროს გერმანელმა დამპყრობლებმა მიწასთან გაასწორეს ქალაქი პოლტავა. ხანძარმა იმსხვერპლა პოლტავის არქივი, კერძოდ, მირგოროდის ღვთისმშობლის ტაძრის მეტრიკული დავთარი. საბედნიეროდ დ. კოსარიკმა თავის დროზე გადაიღო ძვირფასი დოკუმენტის ფოტოპირი (მისი ერთი ცალი მეც მისახსოვრა და ახლა ჩემს არქივში ინახება) და ისტორიას გადაურჩინა ჩვენი დიდებული პოეტის ბიოგრაფიის ეს ფასდაუდებელი წყარო.

დმიტრო კოსარიკმა მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მეტრიკული წიგნი რომ მოიპოვა, ეს სასიხარულო ამბავი მან მაშინვე ჩამოიტანა თბილისში. სსსრ უმაღლესმა საბჭომ მადლობის ნიშნად სპეციალური ბრძანებულებით დმიტრო კოსარიკი და ათანასე მალიარი დააჯილდოვა საპატიო სიგელებით. სადირექტივო ორგანოს მითითებით კი გურამიშვილის ახლადაღმოჩენილი საფლავის მოსახილავად გაიგზავნა ქართველი ინტელიგენციის პირველი, მცირერიცხოვანი დელეგაცია შალვა დადიანის, ლევან ასათიანისა და ამ მოგონების ავტორის შემადგენლობით. რა თქმა უნდა, ჩვენთან გვახლდა დმიტრო კოსარიკი.

1948 წლის 29 ივლისს დილით გავფრინდით მირგოროდისაკენ. ნაშუადღევს უკვე ვიყავით დანიშნულების ადგილას. საღამოს, კულტურის სახლში გაგვიმართეს თვითმოქმედების სახელდახელო კონცერტი. მოვისმინეთ უკრაინული მელოდიური სიმღერები. შთამბეჭდავად შეასრულეს ჩვენი „სულიკო" და „ციცინათელა"... მეორე დღეს, 30 ივლისს, 12 საათზე გურამიშვილის საფლავთან დანიშნული იყო მიტინგი. ჩვენი ბინიდან ვხედავდით, რომ დილიდანვე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, დროშებით, ტრანსპარანტებითა და თაიგულებით სადღაც მხიარულად მიეშურებოდა. ცხადი იყო, რომ მირგოროდი ემზადებოდა სამიტინგოდ.

მანქანებმა მოგვაკითხეს და ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურთა თანხლებით გავეშურეთ ღვთისმშობლის მიძინების ძველი ტაძრისაკენ. იგი მდებარეობს ქალაქის განაპირას, სოროჩინცებისა და პოლტავის ქუჩების გასაყარზე. ვუახლოვდებით გურამიშვილის სავანეს. მღელვარება გვიპყრობს. ყველანი ჩუმად ვართ. ჩვენი საფიქრალი გურამიშვილის გარშემო ტრიალებს. შორიდან გამოჩნდა ტაძრის შენობა. ტაძრის ეზო და ახლო-მახლო მიდამოები ხალხითაა გაჭედილი. ალბათ, აქაა ჩვენი პოეტის საფლავი, გავივლე გულში და მანქანებიც გაჩერდნენ. ნერვულმა დაძაბულობამ და უჩვეულო მღელვარებამ დამძლია. ბურანში ვარ. მაგონდება ნიკო მარის შემთხვევა... მარმა იერუსალიმში მოიპოვა ქართული მწერლობის ბრწყინვალე ძეგლი—გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა". იმგზავრა კლარჯეთსა და შავშეთში გრიგოლის ნაკვალევზე. მიაგნო ხანძთას, იშხანს, მიძნაძორს, შატბერდს და ქართული კულტურის სხვა რიგ კერას. განსაკუთრებული მონდომებით ეძებდა მეცნიერი ხანძთასა და შატბერდს, ნამეტნავად შატბერდს. გრიგოლის მიერ აგებულ ამ მონასტერში თავის დროზე ყვაოდა მწერლობა. აქაა შექმნილი ჩვენ დრომდე მოღწეული უნიკალური „შატბერდის კრებული", მიქელ მოდრეკილის მიერ შედგენილი საგალობლების უზარმაზარი წიგნი... შატბერდს რომ მიუახლოვდა სახელოვანი მეცნიერი, თითქო აწმყოს აღარ ეკუთვნოდა, IX-X საუკუნეებში იყო გადასული. „სტუმრად გრიგოლ ხანძთელთანო", გაუელვა თურმე მარს გულში. არც ის გამიკვირდებოდაო, წერს, რომ ჯვრით ხელში წინ შემომგებებოდა თვითონ ხორცშესხმული, ცოცხალი გრიგოლ ხანძთელი. მაგრამ, ვაგლახ, ეს აღტყინება მყისვე გაფანტულა. მარს დახვედრია უმადური, თუ უმეცარი თანამედროვეების მიერ საშინლად შებილწული, თავლად, სანაგვედ და უწმიდურების ბუდედ ქცეული წმინდა ტაძარი.

დიახ, მაგონდება მარის ამბავი და მეც გულში ვიმეორებ, „სტუმრად დავით გურამიშვილთან", „სტუმრად დავითიანის უკვდავ ავტორთან". ოღონდ იყო დიდი სხვაობაც. თუ გაოგნებულ მარს მის საოცნებო შატბერდში დახვდა შმორი და სიბინძურე, ჩვენ შემოგვეგება ზღვა ხალხის სიყვარულით ანთებული გული. საზოგადოების თავყრილობა ორად გაიპო. იქით და აქეთ ჩამწკრივდნენ მოსწავლე გოგონები და ბიჭუნები თაიგულებით ხელში, გზა გაგვიხსნეს ტრიბუნისაკენ. წამოვიდა ყვავილების სეტყვა და გაისმა ტაშის გრიალი. მოულოდნელი სანახაობით გაოცებულნი და გახარებულნი მივდიოდით და მივთელავდით ყვავილებით დახერგილ ბილიკს. მეც ნამდვილად მეჩვენებოდა, რომ წინ ღიმილით გველოდებოდა მკვდრეთით აღმდგარი ცოცხალი გურამიშვილი. მართლაცდა იმპროვიზებული ტრიბუნიდან ჩვენ შემოგვყურებდა ჭაბუკი გურამიშვილის დიდრონი თვალები რონინიშვილის ცნობილი ფოტოსურათიდან.

ავედით ტრიბუნაზე. ტაშმა შეძრა იქაურობა. პარტიის მირგოროდის რაიკომის მდივანმა მაიბოროდამ დამსწრეთ აუწყა, რომ მოძმე საქართველოდან ჩამოვიდა მწერალთა დელეგაცია, რათა პატივი სცეს ჩვენს ქალაქში დაკრძალული მათი თანამემამულე დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ხსოვნას. თავმჯდომარე მხურვალედ მოგვესალმა და შემდეგ სიტყვა მისცა ჩვენი დელეგაციის მეთაურს ბ-ნ შალვა დადიანს. ისევ იგრიალა ტაშმა. წინ წამოდგა წარმოსადეგი გარეგნობის პატრონი კაცი, ლამაზი, ახოვანი, არტისტული ჟესტით მიესალმა ხალხს (შალვა დადიანი ხომ პროფესიონალი მსახიობი იყო!), ჩვენ თვალით გვანიშნა საქმეს შეუდექითო, თვითონ წამოიჩოქა და მჭექარე ხმით დაიქუხა ქართულ ენაზე: დიდო დავით, მოგილოცავ! მოსპობილია ქართლის ჭირი, თავისუფალია შენი დედასამშობლო, თავისუფალია შენი მეორე სამშობლოც, შენდამი გულისხმიერი უკრაინა, გიხაროდენ! გიხაროდენ!

ჩვენ წაღებული გვქონდა პატარა პარკით ოთხი მუჭა ქართული მიწა მთაწმინდიდან — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან, გვქონდა დაფნის გვირგვინიც თბილისის ბოტანიკური ბაღიდან. შალვა დადიანს რომ სიტყვა მისცეს, მე და ლევან ასათიანი ტრიბუნიდან ძირს ჩამოვედით, გვირგვინი მოვათავსეთ გურამიშვილის საფლავის თავთან, ხოლო საფლავზე მოვაფრქვიეთ უკვე მტვრად ქცეული ქართული მიწა. ეს იყო დიდებული, განუმეორებელი და დაუვიწყარი წამი. სამი ქართველი ინტელიგენტის სახით მშობლიური ქვეყანა თავის უზომო სიყვარულს უმჟღავნებდა თავისსავე სახიჭდულო შვილს და მის წმინდა ნეშტს სიმბოლურად ხელახლად აბარებდა მიწას. ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დაძაბული ყურადღებით შესცქეროდა ამ საოცარ სანახაობას. აქა-იქ მხოლოდ გაისმოდა ქალების ზლუქუნის ხმა. შემდეგ ისევ ერთსულოვნად წამოიწყეს გაბმული ტაში. წამოვიდა ყვავილების ახალი ტალღა. მაინც სად იყო ამ, შედარებით მცირე ქალაქში ამდენი ყვავილი, ამდენი დროშა, ამდენი ხალხი!

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს დმიტრო კოსარიკმა, გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოხუცმა პედაგოგმა კოზუტამ, პარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანმა ე. ვოლგინმა, ლევან ასათიანმა და ამ სტრიქონების ავტორმა. ამხ. ვოლგინმა განაცხადა, რომ საქართველოდან ჩამოსული სტუმრების პატივისაცემად გურამიშვილის დღეები გაგრძელდება პოლტავაშიო. ლ. ასათიანმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება დ. კოსარიკისა და ა. მალიარის დაჯილდოვების თაობაზე. მანვე დამსწრეთ აუწყა, რომ სწორედ ახლა, როცა მირგოროდში ვზეიმობთ გურამიშვილის ხსოვნის დღეს, სურამში, იქ, სადაც ცხოვრობდა და აღესრულა დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, საზეიმო ვითარებაშივე მიმდინარეობს ლესიას გარდაცვალების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ორივე განცხადებას საზოგადოება აღფრთოვანებითა და „ვაშას" შეძახილებით შეხვდა. ჩემს სიტყვაში მოკლედ შევეხე გურამიშვილის პოეზიის მნიშვნელობას ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში. აღვნიშნე, რომ ცდებოდა დიდი პოეტი, როცა გულისტკივილით ჩიოდა — „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა". აი, სწორედ პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად და მისი საფლავის მოსაკითხავად ჩამოვსულვართ-მეთქი საქართველოდან, გურამიშვილის სახელს მოწიწებითა და თაყვანისცემის გრძნობით იგონებენ ყველგან იმიერ და ამიერ საქართველოში, „დავითიანი" ქართველობის უსაყვარლესი წიგნია. უკრაინაც ღირსებისამებრ აფასებს დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებას და სათუთი სიყვარულით ინახავს მის ხსოვნას. ამის უტყუარი საბუთია თუნდაც დღევანდელი დაუვიწყარი ზეიმი.

მიტინგი დამთავრდა. ხალხი ნელნელა დაიშალა, ჩვენ კი გავუდექით ზუბოვკისაკენ მიმავალ გზას...



## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 8 ოქტომბერს მძიმე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 61 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

**იოსებ ელიოზის ძე ნონეშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის

**იოსებ ნონეშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი პოეტის, ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრის

**იოსებ ნონეშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ი. ე. ნონეშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 10 ოქტომბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში (ცეკალიძის ქუჩა № 14) და 11 ოქტომბერს 15 საათზე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში. გამოსვენება 16 საათზე.

დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

## გურამიშვილის იუბილეზე თქმული

საქართველოზე ფიქრებით
იწვოდა შენი გენია,
საქართველოზე ოცნებით
ჰაღარა გამოგერია.

საქართველოზე ლექსებით
გულს უშუშებდი იარებს,
საქართველოზე სიმღერით
ქვეყანა შემოიარე.

მაგრამ შორს იყო
სამშობლო
იავარქმნილი მტერთაგან
და საწუთროზე სამდურავს
ცას შესჩიოდი ერთთავად.

გესმოდა ქართლის ვაება
მტერთაგან გადამწვარისა
და ნაღვლიანი გუგუნი
სიონის დიდი ზარისა.

ჩვენ როდი გვგავდი...
ზოგ-ზოგნი
დაე, ნუ გამიწყრებიან,
შორს იყავ, მაგრამ
ქართული
სულაც არ დაგვიწყებია!..

შენს ლექსში შეერთებულა
სიმღერა სამი ქვეყნისა
და ზვირთთა აგუგუნება
ვოლგის,
არაგვის,
დნეპრისა.

სად თქმულა ძმობა
ამგვარი,
თუნდ ვკითხოთ შოთას
სტრიქონებს.
საქართველოში დაგკარგეთ,
უკრაინაში გიპოვეს.

ბრძოლაში დაბადებულო
ქართული ლექსის არწივად,
იქნებ ეგ ძვლები
დაღლილი,
ნატრულობს მშობელ
მთაწმინდას.

იქნებ მოგინდა მგოსანო,
ზედაზნის გრილი ნიავი,
მახობლის ტკბილი
სურნელი,
არაგვი არაგვიანი...

ჩვენთან არიან ლექები,
მუდამაც ერთად ვიქნებით,
დღეს ლექებს მოუტაციათ
შენი მგზნებარე წიგნები.

და ყველას, ლამისყანასთან
ახლოს არის თუ შორს
არის,
ყველას უნდიხარ, ყველას
სურს,
რომ მოგიტაცონ მგოსანი.

ქართული, უკრაინული,
რუსული სიტყვის
ტრფიალო,
კაცო, სიმღერად ქცეულო,
კაცო,
ცრემლნაღვერდლიანო,

გვასწავლე, შენებრ
ლექსებით
ვით ვლეწდეთ გულის
კალოსა.
დაგვლოცე ახალუხალნი,
არც მოხუცთ აწყენთ
დალოცვა!..

იოსებ ნონეშვილი

## კეთილი კაცი

ჩვენმა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს თვალსაჩინო პოეტს და საზოგადო მოღვაწეს იოსებ ნონეშვილს.

საქართველოში არ მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც მისი პოეტური ქმნილებანი ფართოდ არ იყოს ცნობილი და არ ეხმიანებოდეს მკითხველის გულს. პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე, ყველამ იგრძნო, რომ ქართულ ლიტერატურაში მოვიდა ნამდვილი პოეტი.

იოსებ ნონეშვილი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა და ყოველი მისი სტუმრობა ხალხის დიდ სიხარულს იწვევდა.

პოეტური ნიჭის გარდა, სხვა თვალსაჩინო ნიჭითაც იყო დაჯილდოებული ჩვენი იოსები. ის დიდად კეთილი იყო და გულწრფელად უყვარდა ადამიანი.

გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, კეთილშობილ ადამიანს, ჩვენს დაუვიწყარ იოსებს.

სერგო კლდიაშვილი

## გემშვიდობები

არ მეგონა და ვერც წარმოვიდგენდი სიკვდილის ფრთა თუ ასე უდროოდ გაჰკრავდა იოსებ ნონეშვილს. ათიოდე დღე სარეცელზე მიჯაჭვული ებრძოდა მოახლოებულ დასასრულს. ვერც მისმა პატივისმცემლებმა — თავდადებულმა მკურნალებმა, მიუხედავად დიდი მოწადინებისა, ვერ უშველეს ჩვენს იოსებს, სიკვდილს ვერ გამოსტაცეს.

და აი, აგერ სრულიად მოულოდნელად ქართველი მწერლების ოჯახში გლოვის ზარმა დარეკა! სამუდამოდ წავიდა ჩვენგან საყვარელი ძმა და მეგობარი, ჩვენი სასიქადულო პოეტი, მოღვაწე, მოქალაქე, კეთილშობილი ადამიანი, იგი ხომ ავადმყოფობას არასოდეს უჩიოდა, ფრჩხილიც კი არასოდეს წამოსტკენია! სულით ჯანმრთელი დადიოდა ამ ქვეყანაზე; გასაოცარი ენერგია ჰქონდა და მის მოსიყვარულე გულს დაღლა არ ემჩნეოდა.

ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი გავლიეთ ერთად, ერთმანეთის გვერდით, ვიყავით ჭირსა და ლხინში განუყოფელი, ვიყოფდით სიხარულსა და სიყვარულს. კეთილი გული ჰქონდა, მართალი და პატიოსანი. სიკეთეს თესავდა ყველგან, შინ და გარეთ, ხალხში, ტოლმეგობრებში. ყველას თანაგრძნობას უწევდა, ცდილობდა დახმარებოდა, სადაც ხელი მიუწვდებოდა. ობლობასა და გაჭირვებაში გაზრდილს, სხვისი გასაჭირი ადვილად მიჰქონდა გულთან, ადამიანის სატკივარს საკუთარ სატკივრად მიიჩნევდა. სიხარულშიც შენთან იყო განუმეორებელი და ხალისიანი.

აღარა გვყავს იოსებ ნონეშვილი — სიცოცხლით სავსე, დაუდგრომელი, მუდამ ჭაბუკურად, ახალგაზრდულად შემართული შემოქმედი. იოსები ხომ მთელ საქართველოს უყვარდა და არა მხოლოდ საქართველოს! ლექსისთვის იყო გაჩენილი ამ ქვეყნად. მხოლოდ პოეზიით სუნთქავდა, პოეზია იყო მისთვის მზეც და მთვარეც, სიცოცხლის არსიც.

მადლიანი სიტყვა ჰქონდა, ნედლი და თავისთავადი, მსუყე და ჯანსაღი. სანდომიანი კაცი იყო, თითქოსდა ბავშვივით გულუბრყვილო, მოალერსე და მიმნდობი. ტყუილსა და ცბიერებას მასთან ახლოს არასოდეს გაუვლია. ხანდახან წამიერი გაფიცხებაც იცოდა, მაგრამ წუთის შემდეგ სახეზე ღიმილი ეფინებოდა. ძლიერი იყო მის პიროვნებაში ბავშვობიდან თანდაყოლილი კეთილშობილება.

მართლაცდა ჭეშმარიტი შემოქმედი იყო ჩვენი იოსები, დიდბუნებოვანი, სულით ფაქიზი და ალალმართალი.

ჩვენ, ტოლ-მეგობრებს გვჭეროდა მისი დაუღლელობის. არ უვლიდა თავს, ენერგიას დაუზოგავად ხარჯავდა. თურმე ძალზე გადაღლილი ყოფილა იოსების კეთილი გული და ამ გულმა უცბად უღალატა ძვირფას მეგობარს, ყველასათვის მოულოდნელად.

წავიდა, სამუდამოდ წავიდა ჩვენგან იოსებ ნონეშვილი. მიჭირს, ძალიან მიჭირს ამ მწარე სიმართლესთან შეგუება. ჩვენდა სანუგეშოდ გვრჩება იოსებ ნონეშვილის მაღალნიჭიერი პოეზია, რომელიც მარადჟამს გაუწევს სამსახურს მშობელ ერსა და ქვეყანას.

გემშვიდობები ძვირფასო ძმაო და მეგობარო! მაინც რა ჰქენი ბიჭო! რა ადრე მიგვატოვე, რა ადრე უღალატე შენს სათაყვანებელ ლექსს, შენს ოჯახს, ტოლ-მეგობრებს, მშობელ ქვეყანას!

რევაზ მარგიანი

## მშვენიერი იოსები

სიკვდილზე ასაკოვანი და ძველი არაფერი არსებობს ქვეყნიერებაზე. და მაინც ვერაფრით ვერ შეეგუა კაცობრიობა მას... და რაკი ველარ შეეგუა, სიტყვა მოიგონა — სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი — ამ სიტყვას პირველი მწერალი დაეპატრონა დედამიწაზე, მათ შორის შენც რაღა თქმა უნდა.

ცოცხალი იმ ბიბლიურ, მშვენიერ იოსებს ჰგავდი, რომლის სიკეთეს და მოძმის სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აღარა ხარ და შენი სიხარულის მომნიჭებელი სიტყვა დადის დღეს საქართველოს ყველა ოჯახში.

თუ ვინმეზე ითქმოდა მგოსნობა საქართველოში დღეს, სხვაზე უპრიანი შენზე იყო, ძმაო იოსებ.

ცოტა ვინმეს გაუზიდია ქართველი ხალხის სიყვარულის სალაროდან იმდენი განძი, რამდენიც შენ, ჩემო იოსებ.

შენ იყავი შენს ძმათა შორის, ჩვენს შორის, ყველაზე სათნო, ლმობიერი, ალერსიანი, ყურადღებიანი და უშურველი.

შორიდან შენი ცხოვრება ფრთაგაშლილი მერცხლისა და იადონის ფრენასა ჰგავდა. ბევრს ასეც ეგონა. მაგრამ მკრეხელობა და დიდი ცოდვა იყო თურმე ფიქრი ამისა, რადგან მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე, ობოლი ბიჭი სულ პატარა ბალღობიდან ვიდრე დღემდე, ქაშუეთის ჩუქურთმას სჭრიდი, მისი მღელვარე სულის ჩუქურთმას...

ბოლნისის ვარდისფერ ქვაზე ღვთისმშობლის ხატებას ჭრიდი და ეს ხატება შენი სამშობლო, საქართველო იყო.

ერთ შენ ბოლოდროინდელ ლექსში ასე ამბობ:

და თუ სულ ისე ვერა ვთქვი
ისე, როგორც სულს სურდა,
ჩემი გრემი და გელათი
ნუ გამიგებენ ცუდად,
მე მათი ღელვით ვღელავდი,
მათი მზე მწვავდა მუდამ.

მშვიდად იძინე, ძმაო იოსებ, ყველაფერი კარგად თქვი და ყველაფერი ძალიან კარგადაც გაგიგეს, გრემმაც, გელათმაც და შენმა ხალხმაც.

ღმერთმა მე მათქმევინოს ასე კარგად.

ნოდარ დუმბაძე

## ადრე წავიდა ჩვენგან

სამოცი წელი ადამიანის სიცოცხლისათვის ბევრი არ არის. არც ცოტაა. ამ ასაკში ადამიანებს ძირითადად ნათქვამი აქვთ თავიანთი სათქმელი, მოხნული აქვთ მოსახნავი, აგებული აქვთ ასაგები.

სამოც წელს ცოტათი იყო გადაცილებული იოსებ ნონეშვილი. ადრე წავიდა ჩვენგან. მოულოდნელად და გულდასაწყვეტად წავიდა.

თუმცა მან დატოვა ბევრი ბრწყინვალე ლექსი, რომლებიც თაობიდან თაობებს გადაეცემა, მისი სიცოცხლე კიდევ დიდხანს დაამშვენებდა ჩვენს ქვეყანას, გაახარებდა ახლობლებსა და მეგობრებს.

იოსებ ნონეშვილი ჭეშმარიტი პოეტი იყო. იგი პოეზიითა და პოეზიისათვის ცოცხლობდა. მზად იყო დაუსრულებლივ ესაუბრა პოეზიაზე. მან ზეპირად იცოდა ჩვენი წარსულისა და თანამედროვე დიდი თუ ნაკლებად ცნობილი პოეტების ლექსები! მის თვალს არ გამორჩებოდა თუნდაც დამწყები პოეტის ჯავარიანი სტრიქონი.

იოსების შეხვედრა მკითხველებთან პოეზიის ნამდვილი ზეიმი იყო. იგი იშვიათი არტისტულობითა და ექსპრესიულობით კითხულობდა ლექსებს. აუდიტორია მოხიბლული და მონუსხული უსმენდა. მსმენელები დიდი შემოქმედებითი სიხარულის თანაზიარნი ხდებოდნენ და ამით იოსები თვითონაც ბედნიერი იყო.

ადრე წავიდა ჩვენგან იოსები, ჩვენი საყვარელი მგოსანი. მისი წასვლით რაღაც განუმეორებელი ეშხი და ფერი დააკლდება ქართულ პოეტურ პალიტრას. ამიერიდან ერთი კეთილხმოვანი ჰანგით ნაკლები იქნება ქართული მრავალხმიანი სიმღერა.

წავიდა ჩვენგან დიდებული შემოქმედი, კაცი უაღრესად კეთილი და გულისხმიერი, მოყვასის დასახმარებლად მუდამ მზადმყოფი, მომღიმარე და მადლიანი, მუდამ ხალისიანი რომ ეგებებოდა ადამიანებს — გამარჯობათ, ჩვენებურებო, ახლობლებო, ნათესავებო, მეგობრებო, თქვენი მგოსანი, თქვენი იოსებ ნონეშვილი მოგესალმებათო... „ჰაშნიკად" რომ კითხულობდა შუშხუნა სტრიქონებს.

მწუხარებით აევსება გული ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის სიხარული განუცდია.

მეგობრები და ახლობლები კი ბევრი ჰყავდა იოსებს. სად არ შეხვდებით მისი პოეზიისა და კაცობის დამფასებლებს. იგი ყველგან სასურველი სტუმარი იყო.

ადრე წავიდა ჩვენგან იოსები. მოულოდნელად და გულდასაწყვეტად წავიდა.

ნოდარ გურეშიძე

## გულისცემა გრძელდება...

იმ დღეს თქვენთან ერთად მყოფი ქართველი მწერლები ტკივილით გაიხსენებენ: გურჯაანისაკენ მიმავალ ავტობუსში თითქმის მთელი გზა გაისმოდა თქვენი გულლია სიცილი. რა ვიცოდით, ეს იყო თქვენი ბავშვური აღფრთოვანების უკანასკნელი საათები.

რამდენიმე დღეში კარდენახში რთველში გეპატიჟებითო, — ალალი მასპინძელივით გაუშალეთ ყველას ხელები. — ხომ უეჭველად წამოხვალო, — მკითხეთ — რა თქმა უნდა-მეთქი, ბატონო იოსებ. — სიტყვა სიტყვააო! — გამაფრთხილეთ ღიმილით.

ამას ჰქვია „კაცი ბჭობდაო და..."

თურმე მწარედ „იცინოდა ღმერთი..."

ეს შემოდგომა უთქვენოდ ჩათავდება...

თქვენი სიარული აღარ დაამშვენებს რუსთაველის პროსპექტს, თქვენი გამოჩენა და ომახიანი სიტყვა — სავსე დარბაზებს.

რაღაც მოაკლდება ჩვენს დედაქალაქს, ჩვენს ხალხს, რომელიც თქვენ ასე გიყვარდათ.

სამშობლოს სიყვარული თითოეული ადამიანიდან იწყება — ეს ყველაზე უკეთ თქვენმა მგრძნობიარე გულმა იცოდა და ყველას, განურჩევლად, თანაბრად უნაწილებდით, რისი გაცემაც კი შეგეძლოთ, ვისაც კი რაში შეიძლებოდა წასდგომოდა თქვენი მხარდაჭერა, თქვენი ავტორიტეტი.

სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები იმედით შეჰყურებდნენ თქვენს არსებობას.

თქვენი კაბინეტი მუდამ ხალხმრავალი იყო...

იმ ორშაბათსაც მოიჩქაროდნენ.

რა იცოდნენ, რომ თურმე ყველაზე მეტად თქვენ გიჭირდათ, თქვენ იყავით საშველი...

ორი კვირის განმავლობაში ათასობით ადამიანის თვალი თქვენსკენ იყო მოპყრობილი — მთლად საქართველო თქვენს გულისცემას მიყურადებული...

შეჩერდა დაღლილი გული, მაგრამ თქვენი პოეზიის გულისცემა გრძელდება...

თქვენ ტკბილი სიბერე დაგშვენდებოდათ, „დაგმშვენდებოდათ... ეჰ, რარიგად დაგმშვენდებოდათ..."

ვანო ჩხიკვაძე

## გამოსათხოვარი

ძალზე ძნელი წარმოსადგენია შეხვიდე მწერალთა კავშირის შენობაში და დერეფანში არ შეგხვდეს, თანატოლივით მხარზე ხელი არ მოგხვიოს, არ მოგეფეროს, მოგიკითხოს, გაგამხნევოს...

დიახ, ძნელი წარმოსადგენია, რაიმე გაგიჭირდეს, აირბინო მწერალთა კავშირის კიბე, მოკრძალებით შეაღო იოსებ ნონეშვილის კაბინეტის კარი და... ყველასათვის საყვარელ ბატონ იოსებს სამსახურში კი არ დაუგვიანია ან საზღვარგარეთ კი არაა ქართველი ხალხის სახელით სიტყვისა და ლექსის სათქმელად, თავის მშობლიურ კარდენახში კი არ წაბრძანებულა „ადგილის დედას" დანატრებული...

არა, ვაი რომ არა! იგი სამუდამოდ წასულა... გარდაცვლილა... (ამ სიტყვის მხოლოდ ქართული, ოდნავ დამამშვიდებელი გაგებით).

ჩვენო საყვარელო ბატონო იოსებ! ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარო კაცო და მგოსანო! თქვენი უკეთილშობილესი გულით გზადალოცვილი, ხელგამართული, ძქვალიანებული ახალგაზრდები გულმოკლულნი გემშვიდობებით და ჩვენი ცრემლი უერთდება სრულიად საქართველოს გლოვას თავისი ერთგული მგოსნის უეცარი გარდაცვალების გამო.

ირაკლი ბაზაძე, მერაბ აბაშიძე, რეზო დანელია, ვაჟა ჩორდელი, თეიმურაზ აბულაშვილი, ვიტალი დარსანია, ლევან ბრეგაძე, მიხეილ ქურდიანი, დალილა ბედიანიძე, ამირან კალაძე, შუკო ჯიქია, ზაურ კალანდია, ჯანრი გოგეშვილი, ვახტანგ ხარჩილავა, ავთანდილ ჩხაიძე.

## იოსებ ნონეშვილის ხსოვნას

დღეში ასჯერ ათასგვარ
ჩინის და ეპოლეტის
მქონე კაცი მკითხავდა:
როგორ არის პოეტი?
სამუდამოდ დადუმდა
მგოსნის ჩანგი, ფლეიტა...
— როგორ არის პოეტი?
არვინ მკითხავს დღეიდან.
ხომ ბავშვია პოეტი,
შენ მთლად ბავშვი იყავი, —
უამრავი თვისტომის
შემწე და გამკითხავი.
ალაზანთან იდექი,
ენგურთან თუ რიონთან
ერის სიცილ-ტირილი
სტრიქონებად გდიოდა.
თავის დახრით, თავაზით
აღარ მოგვესალმები,
აღარ აღფრთოვანდები
გრემით, თმოგვით, სამებით.
ნახველ.
გადაიქცევი
სიჩუმედ, გარინდებად...
გულზე ელდად სამშობლო
აღარ მოგაფრინდება.
ნახველ —
კაიკაცობის
ძაფით ნაგვირისტალი —
სხვათა ბედ-უბედობის
გულისგულთან მიმტანი:
ჯერ არც გაცივებულა
შენი სული ცისფერი,
მაგრამ შენს საქართველოს
უკვე ესაკლისები.
ნახველ.
ხსოვნა-ჭრილობა
ჟამმა ვერ ამოკეროს...
შენ რა მოგკლავს, ამდენი
სიყვარულის მომკელო!

ტაგუ მეგურიშვილი



პოეზიის საღამო ნია-გრუზინსკაიაზე.

# დავით გურამიშვილისა და აკაკი წერეთლის წელიწადი

მამუკა ფიკლაური

[ქ]ართველი პოეტი დავით გურამიშვილი პოემის წერას იწყებს და როგორც ძველ პოეტებს სჩვეოდათ, ისიც ღმერთს შესთხოვს შველას:

„ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლულზე წამალი სამთელი,
შემაძლებინე, ალვანთო მე შენს
წინაშე სანთელი!“

მას აღარც თავისი მიწა აქვს და აღარც ცა, აღარც მეომრად ვარგა და აღარც მიჯნურად. ის ახლა იქაა, სადაც ხელუკუღმა გადააგდო ბედმა, სადაც მგორავი ქვა გაჩერდა. პოეტმა იმ მაღალ კლდეს შეხედა, საიდანაც ის მოწყდა, იმ გზას გახედა, რომელზედაც ის გაილია, გაცვდა, დაინაყა, დაიბზარა...

და დაიწყო წიგნის წერა. დამთავრდა ის დრო, როცა იგი სამეფო კარის ბრწყინვალე პოეტი იყო და სალაღობო ექსპრომტებს თხზავდა, როცა კარის სხვა პოეტებს ეჯიბრებოდა. ახლა სულ სხვაგვარი ლექსი იწერება. ის ერთი გატანჯული კაცის ისტორიას წერს. მან სამშობლო დაკარგა, მაგრამ უსამშობლო პოეტი მაინც არაა. უსამშობლო პოეტი არც ბედნიერია და არც უბედური. ის არ არსებობს. და რაკი დავით გურამიშვილი უბედურებაზე წერს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს სამშობლო. მისი სამშობლო დამწვარი, გაჯიჯგნილი, გადათქერილი და გადაქელილია, მაგრამ მაინც არსებობს და პოეტი საკუთარი უბედურების ისტორიას კი არა, მამულისა და მამულიშვილის ისტორიას წერს, სამშობლოს ერთი დღის — ბნელზე ბნელი დღის სურათს ხატავს. დადგა განსჯის ჟამი: რატომ დავმარცხდით, სად შევცდით, სად ჩავვთვლიმა, სად ვერ შევნიშნეთ უბედურების მაუწყებელი სიგნალი... წავიდა ძველი დრო და ახლა ლექსი თავის გამოსაჩენად და ვიღაცის გასაჯიბრებლად აღარ ეწერება. ახლა პოეტი თითქოს ქვებს აწყობს გზაჯვარედინზე და აწერს: „ვინც ამ გზით წავიდეს“...

ახლა უკვე ეროვნული პოეტი იწყებს მოღვაწეობას — ეროვნული პოეტი გამჟურებს წარსულსაც და მომავალსაც. ეროვნული პოეტის თვალით იზომება გამარჯვებაც და დამარცხებაც, სიცოცხლეც და სიკვდილიც... სამშობლოს ბედი განსაზღვრავს პოეტის ბედს და მას ეროვნულ პოეტად აყალიბებს.

დავით გურამიშვილის საფლავი უკრაინაშია, სული კი სამშობლოში ჩამოვიდა და ყველა ქართველის სახლში შევიდა, როგორც მწარე გაფრთხილება, ხოლო მტერმა მიინიშნა — ვინც ახეთი სიმწრით ტირის დამარცხებებზე, ის არ დაეცემა, ის მუდამ იბრძოლებს გამარჯვებისათვის, ის არ შეურიგდება მონობას...

„შემაძლებინე ალვანთო მე შენს
წინაშე სანთელი!...“

ის სანთელი აინთო. აინთო, რომ მკაცრი სინათლით გაენათებინა წარსული, რომ მომავლის გზაჯვარედინების ბუნდოვანება გაერღვია.

ის დიდი ჭირი, ის დიდი წარღვნა წარსულს მიბარდა... სისხლის მდინარეები გახდა საჭირო, რომ ერი კრიზისიდან გამოსულიყო. იმ საზარელ ჟამს მოუხდა ცხოვრება დავით გურამიშვილს. ის ჟამი გარდათქვა ლექსად პოეტმა, იმ ჟამის ეკლიანი დღეები და ღამეები გვაგრძნობინა. დავით გურამიშვილი იმ ჟამის შუაგულიდან გვესაუბრება და გვაფრთხილებს — ამ ბუნებაში ჩიტსაც თავისი მტერი ჰყავს და ლომსაც, ერთი თავის დაღუნვა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, ამიტომ „ვინც არა ჰგავს კახაბერსა“ არ უნდა ვთქვათ კახაბერად, ამიტომ არ უნდა დავკარგოთ მეციხოვნის სიფრთხილე,

●

ამიტომ...
ამიტომ...
ამიტომ...

●

როცა ჩვენი ხალხის უპირველესმა მტრებმა ილია ჭავჭავაძე მოკლეს, საერთო ეროვნული განგაში გამოცხადდა — თითქოს იმ თოფის ხმამ ყველა ქართველის სახლის სარკმლები შელეწა და სიგნალად იქცა: სამშობლოს მტერი ახლოსაა და პირველი ტყვია ჭავჭავაძეს ესროლეს!

იმ სამგლოვიარო დღეებში აკაკი ავადმყოფობდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობის წინ — სასტუმროში იწვა. სამგლოვიარო პროცესია სპეციალურად სახახლის შუაგულში გაჩერდა, აკაკი სასტუმროდან ჩამოიყვანეს და იქ თქვა მან გამოსათხოვარი სიტყვა, რომელსაც ილია ზურაბიშვილის თქმით „თანა სდევდა გულის გამსჭვალავი საერთო ქვითინი“.

ხალხმა ისურვა, რომ უსაზღვრო გლოვის ჟამს გაეგონა თავისი მეორე დიდი შვილის, აკაკი წერეთლის ხმა.

...და აი, რა თქვა მან: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ნახავ...“

აქ, ამ ჩვეულებრივ გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელიც დღეს თითქმის ყველა ქართველმა იცის, ერთი განსაკუთრებული ფრაზაა: „როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ...“

კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე დაცემული სამშობლოს ფეხზე წამოყენებას შესწირა, კაცი, რომელმაც ღრმა კვლები გაიტანა მამულში და იქ სიფხიზლისა და სიმტკიცის თესლი ჩათესა, კაცი, რომელიც მართალი სიტყვის სიმბოლოდ იქცა, ახლა თავისი დიდი თანამოსაგრის ნეშტთან ერს აფრთხილებს, რომ ბრძოლა დამთავრებული არაა, უფრო მეტიც, სამშობლოს სიკვდილის საფრთხე ჯერ არაა გავლილი...

გახსოვთ აკაკი წერეთლის უკანასკნელი ფოტოსურათი?!

სურათიდან შემოგვყურებს ჯავრისაგან, ფიქრისაგან, ტკივილისაგან, სიბრძნისა და ბრძოლისაგან გაჭირებული სახე. შემოგვყურებს გმირი, რომელმაც რვა ვეშაპი მოკლა, მაგრამ მეცხრე ვეშაპი ცოცხალი დარჩა. ვიდრე ის ერთი ვეშაპი ცოცხალია, გმირს არ სურს გმირის სახელი. ის გმირობისთვის კი არა, ვეშაპების ბუდის მოსაშლელად იბრძოდა, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ჩვენ ამ ფოტოსურათიდან შემოგვყურებს ბნელ ღამეში საგანგაშო ზარების მრეკავი:

— აღსდეგ, სამშობლოვ!
ბევრი გეძინა!
ვინც კვალში გდევდნენ,
გაგისწრეს წინა!
შენი ბუნების მქონი, მითხარ,
რამ დაგალონა, რამ შეგაშინა?..

ჩვენ ამ ფოტოსურათიდან შემოგვყურებს გაუტეხელი ციხე, რომელსაც გაუძლია ხანძრებისათვის, ურნალებისათვის, ისრებისათვის და კიდევაც გასძლებს:

— გავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
პირზედა ჭირის მთოვარი!

ჩვენ ამ ფოტოსურათიდან შემოგვყურებს ბრძენი სარდალი და მოძღვარი.

— რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დაიბრუნებს ნებითა,
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?!

...და აგერ, ჩვენ ამ ფოტოსურათიდან შემოგვყურებს სიბრაზისგან არეული სახე; ყველაზე ძვირფას ადამიანზე აღმართულ მახვილივით პრიალებს მრისხანებისა და ცრემლის კლდეებში გამოჟონილი მწარე სიყვარული — სიტყვები, რომელთა წარმოთქმის უფლებაც, იქნებ, მხოლოდ აკაკი წერეთელს ჰქონდა:

— უნდა ჩავყლაპო სიტყვები
ძალით,
გულს თუ დამადგა, ვერც
დავახველო.
ამას კი ვიტყვი, გინდა
მომკალით:
ფურთხის ღირსი ხარ შენ,
საქართველო!

●

დავით გურამიშვილი და აკაკი წერეთელი წელს ერთმანეთს შეხვდნენ — შეიყარა უკვდავებისკენ მიმავალი მათი გზები. ჩვენი ხალხი თავის უკვდავ წინაპრებს ხვდება — ეს შეხვედრა ცოცხალთა შეხვედრაა, ამიტომ საზეიმო განწყობილებასთან, სიყვარულთან, დაფასებასთან ერთად წინაპრის გამომცდელი მზერაც შემოგვყურებს — მშობელს გზის გამგრძელებელი, ტრადიციისა და სახელის ღირსეულად მატარებელი შვილი სურს და არა ის, ვინც ყოველ წამს სიყვარულს ეფიცება და ხელებს უკოცნის. მხოლოდ ღირსეული შრომითა და ბრძოლით გამოხატულ სიყვარულს აქვს ფასი ადგილის დედის თვალში.

დავით გურამიშვილისა და აკაკი წერეთლის სიხარული ეროვნულ მზესთან ერთად ამოდიოდა, მათი ტკივილი ეროვნულ ქარებს და წვიმებს მოჰყვებოდა.

მათი მემკვიდრის — დღევანდელი ქართველი პოეტის მოწოდებაც, ცხადია, მშობელი ხალხის სამსახურია, ხვალინდელ დღეზე დაჟინებული ფიქრია. ხვალინდელი დღეა პოეტის „საიქიო“ — თავისი განკითხვის დღით, თავისი სამოთხით, სალხინებლით, კუპრის ტბებითა და ბეწვის ხიდებით.

ამიტომ დღეს, დავით გურამიშვილისა და აკაკი წერეთლის წინაშე, მთელი სიმძაფრით ჩნდება ის პრობლემები, რომლებიც დღევანდელი ქართული პოეზიის წინაშე დგას. აქ უკვე შეუძლებელია მწვანე ტოტებით დაფარო უნაყოფო ადგილები, შეუძლებელია სიტყვა ბანზე ააგდო. ჩვენს დღევანდელ დღეს ისინი აკონტროლებენ და გვახსენებენ:

დავით გურამიშვილი: „ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია...“

აკაკი წერეთელი: „რაც არ იწვის, არ ანათებს...“

ნამდვილ პოეზიას არც საალბომო-საშაქარლამო პოეზიასთან აქვს რამე საერთო... მიდის მეოცე და ახლოვდება ოცდამეერთე საუკუნე. პოეზია კი ისევ თავის უძველეს ბრძოლის ველზე იბრძვის სიკეთისათვის, სიყვარულისთვის, სიმართლისათვის, სილამაზის უკვდავებისათვის.

დავით გურამიშვილი: „შორს წამსვლელი ხარ, გზად გაქვნდეს ნუზლი და საბარგონია...“

აკაკი წერეთელი: „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს...“

პოეზია ისევ იმ ძველ ბრძოლის ველზე იბრძვის, ოღონდ ეგაა— ახალ გრიგალებსაა შებმული, ახალი ფერით ღებავს ამ უძველეს ვარსკვლავებსა და მდინარეებს. პოეზია ისევ სინათლის ბარიკადზე დგას. და რა აუტანელია, როცა ამ ბარიკადის მოშორებით, ზურგში, სიამისაგან თვალებმინაბულ, ყოველმხრივ დაარხეინებულ „პოეტს“ ხვდები და ხედავ, როგორ იცვლება პოეზია ფსევდოპოეზიით, როცა ხედავ, რომ ეკლესიის ნანგრევებით ვიღაცა საკუთარ სახლს აშენებს.

ოქროს ზოგჯერ შემთხვევითაც პოულობენ, მაგრამ ოქროს მაძიებლები სანაგვეებს კი არ ჩიჩქნიან, ოქროსათვის ოქროს საბადოებზე მიდიან. პოეზიის ქარხანა ჯართზე არ მუშაობს. პოეზიას ღრმა ფენებში მოპოვებული მადანი სჭირდება და იმ მადანსაც ის პოულობს, ვინც წინაპართა კვნესას აყურადებს, ვინც დღევანდელი მოქალაქის გულისცემას უსმენს, ვინც დამოუკიდებელი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ვის ნერვებშიც ეროვნული ტკივილი ელავს, ვინც იცის, რომ ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი სწორი ხაზია და რასაც ამბობს, აუცილებელი სიტყვებით ამბობს, აუცილებელ სათქმელს ამბობს.

ახლა, ამ საიუბილეო ზეიმზე კიდევ ერთხელ უნდა ჩავუფიქრდეთ მწერლის პიროვნების პრობლემას, მწერლის ცხოვრების წესს, მწერლის პრინციპებს.

დავით გურამიშვილი: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად...“

აკაკი წერეთელი: „გამიქვავდეს მაშინ ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო...“

დავით გურამიშვილი და აკაკი წერეთელი ისევ გვახსენებენ, რომ ნამდვილი მწერლისათვის არ არსებობს დასაზღვრული ჟამი, არ არსებობს არც ისეთი სახამართლო, რომელიც მწერლის თვითგანდიდებისათვის გაწეულ ჩხირკედელაობას გაამართლებს.

დავით გურამიშვილი: „ვამე, თუ შორს გზას წავიდე, საგძლად ვერა-რა წავიღო...“

აკაკი წერეთელი: „მიყვარს, როდესაც ხატის წინ ანთია წმინდა სანთელი...“

მაგრამ ჩვენ მხოლოდ სატკივარითა და საზრუნავით როდი ვხვდებით ჩვენს იუბილარებს (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სატკივარი და საზრუნავი ბრძოლისა და წინსვლის ნიშანიცაა), საამაყოც გვაქვს და როგორც ერთი პოეტი ამბობს: „ჩვენ ცოცხლები ვართ, დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი, დაუხარჯავი ძალების ცეცხლით!“.

... და საამაყო ისევ ისაა, რომ ჩვენ ხშირად ვეკითხებით ჩვენს თავს:

— გრძელდება თუ არა ის გზა, რომელიც ჭაობებზე კი არა, ქედებზე გადიოდა, ვის ჰყოფნის ძალა, რომ კლდოვანი ბილიკებით იაროს?

არ შეიძლება, რომ დღეს, ამ დიდი წინაპრების სტუმრობის ჟამს, დღეს, როცა ერთ სადგურში შეხვდნენ ერთმანეთს წარსული და მომავალი, ამაზეც არ ვიფიქროთ. არ ჩავუფიქრდეთ — რას მატებს დღევანდელი დღის პოეზია ქართული პოეზიის დიდ საგანძურს, რა მონაკვეთი უკავია მას ქართული პოეზიის დიდ მაგისტრალზე...

დავით გურამიშვილი: „მზევ, მახარე შენსა მოსვლით, ახლით მმოსე შესამოსლით...“

აკაკი წერეთელი: „...და რომ მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დავიბარეო...“

# თხზულებანი სრულად




გამოდის თხზულებათა სრული კრებული დავით გურამიშვილისა.

გამოდის პოეტის საიუბილეოდ. და როგორც დიდ იუბილეებთან დაკავშირებული ყველა გამოცემა, ისიც საგანგებოდ მოუმზადებიათ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“.

კრებულს უძღვის წინასიტყვაობა სარგის ცაიშვილისა. ეს იმასაც გაგვახსენებს, რომ ცოტა ხნის წინ ამავე თარილთან დაკავშირებით „სოვეტსკი პისატელმაც“ გამოსცა პოეტის წიგნი, თარგმნილი ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ და სარგის ცაიშვილისავე წინასიტყვაობით და კომენტარებით.

დავით გურამიშვილის თხზულებათა წინასიტყვაობა თუმც კარგა მოზრდილია, თვალმოუწყვეტლივ იკითხება, მოუბეზრებლად და გულაუყრელად, რაც ორი სიკეთით არის გამოწვეული: სათქმელის მნიშვნელობით და მისი ოსტატურად გადმოცემით.

ძალზე სევდიანი ამბავი პოეტის ცხოვრებისა აქ წარმოდგენილია ახლო კავშირში საქართველოს იმდროინდელ ვითარებასთან, როგორც ამ ვითარებით განპირობებული ერთი ცხადი მაგალითი, და ნაჩვენებია, აქედან რომ იღებს სათავეს დავით გურამიშვილის პოეზიის უპირველესი თემა — ეროვნული ტკივილების გამოხატვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა მკვლევარის დაკვირვებანი დავით გურამიშვილის პოეზიის თავისებურებათა შესახებ, „დავითიანის“ მკვებავი ფესვების დაძებნა ძველ ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობაში, ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, და ნიმუშების შთამბეჭდავი შეპირისპირებანი.

55-ე გვერდზე დაბეჭდილია პოეტის ავტოგრაფის ის ადგილი, სადაც წერია: წიგნი ესე, რომელსაც ეწოდების „დავითიანი“, თქმული გურამისშვილის დავითისაგანო.

წიგნში ერთი მოულოდნელობაც შეგვხვდება: „დავითიანის“ შესავალი სხვაგვარად გამოიყურება. კრებულის შემდგენელს პირველ ლექსად გადმოუტანია „ეს კაცი ასე ილოცავს“. ლექსი წარწერილი პოეტის ავტოპორტრეტზე, აქამდე დამატებებში რომ იბეჭდებოდა.

მართლაც კარგად შეუმჩნევიათ ამ ლექსს სულ თავში გადმოტანა: იგი ხომ ლოცვაა და ნაწარმოების დასაწყისში ლოცვის აღვლენა არ ეუცხოება „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილ ქართველ კაცს. „ეს კაცი ასე ილოცავს“ რვასტრიქონიანია და რვამარცვლოვანი და ასე მთავრდება: „ყოვლად წმინდაო, დამადევ წყლულზედ წამალი სამთელი, შემაძლებინე ალვანთო მე შენს წინაშე სანთელი“...

ამ ლექსის მომდევნოდ დგას „ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება“— ლექსი აგრეთვე ადგილმოცვლილი, ავტოგრაფის ბოლოდან თავში გადმოტანილი, ოღონდ ეს ცვლილება ამ ოცდახუთი წლის წინანდელ გამოცემაში მომხდარა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორთოგრაფიის გამარტივებას და ზოგიერთი რედაქციული თუ კორექტურული შეცდომის გასწორებას, „დავითიანის“ ტექსტი ავტოგრაფულ ხელნაწერს მისდევს ისევე, როგორც წინა მეცნიერული გამოცემა.

სარგის ცაიშვილსავე ეკუთვნის წიგნს დართული განმარტებანი, რომელშიც მოთხრობილია „დავითიანის“ ავტოგრაფული ნუსხის საინტერესო თავგადასავალი. მასვე შეუდგენია ბიბლიოგრაფია და საკუთარ სახელთა ცნობარი — საძიებელი.

კომენტარები კორნელი კეკელიძისეულია.

გამორჩევით აღნიშვნის ღირსია ივანე გიგინეიშვილის ლექსიკონი.

ასე რომ „დავითიანი“ სრულად მეცნიერულად გამართული მივა მკითხველამდე!

და — ლამაზიც — ზურაბ ფორჩხიძის მხატვრობის წყალობით.

გზა დავულოცოთ!

დაე, ამ მშვენიერმა წიგნმა მალე მიაღწიოს, თავის ღირსეულ პატრონამდე!

ნათელა ჩიტაური

ფსიქოლოგიური პორტრეტი

# დავით გურამიშვილი

ვლადიმერ ნორაკიძე

დავით გურამიშვილი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებების და მიზნების პიროვნებაა. მასში მძლავრადაა ჩანერგილი როგორც სასიცოცხლო (ბიოლოგიური) იმპულსები, ისე მაღალი სოციალური ღირებულებებისადმი სამსახურის მზაობა. სისხლსავსე ცხოვრების ტრფიალი, ჰედონისტური იმპულსები, რომანტიკულ-ეროტიკული სურვილები. ოჯახის შექმნის, გვარის გაგრძელების მოთხოვნილება და სხვა ამ სახის სასიცოცხლო ღირებულებები თავიდანვე წარმოადგენდა მისი ცხოვრებისათვის ბიძგის მიმცემ მოტივებს.

ამავე დროს პოეტში ადრე ჩაისახა და განვითარდა მაღალი სოციალური მოთხოვნილებები. იგი, როგორც მაღალი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ცხოვრების ყოველ წვრილმანში თუ გრანდიოზულ სოციალურ და კოსმოსურ მოვლენებში ეძებდა არსებითს, მოვლენებს განიხილავდა სამყაროს მთლიანობასთან მიმართებაში, პირადსა და სოციალურ ცხოვრებას განიცდიდა მძაფრად და მტკივნეულად. წყურვილი შემოქმედების, თავის განცდების პოეტური ობიექტივაციისა შეადგენდა მისი მოღვაწეობის უმძლავრეს შინაგან იმპულსს; სამყაროს, როგორც ესთეტიკური ფენომენის წვდომის მისწრაფება შერწყმული იყო არსებული სოციალური ურთიერთობის, სამშობლოს და თავისი პირადი ტრაგედიის საზრისის ძიების მოთხოვნილებასთან.

ეს უკანასკნელი იმის ძლიერ სტიმულად იქცა — ცხოვრების და საერთოდ სამყაროს არსებობის საზრისი განეხილა ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე, რაც მასში ამოიზარდა და განვითარდა ბავშვობიდანვე შეზრდილი რელიგიური გრძნობიდან. პოეტში განმტკიცებული მაღალი ღირებულებებისადმი სამსახურის განწყობების რეალიზაცია, საქართველოს ტრაგიკულ ბედთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების უკუღმართი მსვლელობის გამო, შეფერხდა, ზოგ შემთხვევაში კი მთლიანად აღიკვეთა. მან ვერ შექმნა ოჯახი, არ დატოვა შთამომავლობა, სამშობლოდან გადაკარგულს შესაძლებლობა არ ჰქონდა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა თავისი ერის ცხოვრებაში, დიდხანს რუსეთის არმიაში სამსახურმა შეაფერხა შემოქმედების წყურვილის დაკმაყოფილება, მოქალაქეობრივ ცხოვრებაში პირადი შესაძლებლობების გაშლა... ყოველივე ეს იწვევდა მისი პიროვნების გადატვირთვას მძიმე წუხილების, შფოთვის, შინაგანი კონფლიქტების განმსაზღვრელი გაუნაღდებელი განწყობებით.

დავით გურამიშვილი ძლიერი სულიერი ენერგიის და მტკიცე ნებელობის პიროვნება იყო; იგი თავისი ცხოვრების კრიტიკულ პირობებში, ცხოვრების პერიპეტიებში არ კარგავს საღი განსჯის უნარს; მიუხედავად ემოციური ცხოვრების მიმდინარეობის ინტენსიობისა, ძლიერი აგზნებადობისა, საბოლოოდ ყოველთვის ინარჩუნებს შინაგან წონასწორობას, ემოციურ ტოლერანტობას. მას ყოველთვის შესწევს ძალა შეაფერხოს, შეაკავოს საკუთარი ვნებათა ღელვა, მისთვის ძვირფასი ღირებულებებისადმი სამსახურის შეუძლებლობით გამოწვეული შფოთვა, წუხილი და ნებელობის ენერგია წარმართოს სიტუაციის შესატყვისი მიზნებისათვის ბრძოლის მიმართულებით.

ამ მხრივ იგი უთუოდ მტკიცე და დინამიკური განწყობის, დაძაბული, მაგრამ ძლიერი ადაპტაციის უნარის მქონე პიროვნებაა. თავის ახალ საცხოვრებელ ადგილზე (უკრაინა), მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ხანდაზმულობის ჟამს შეძლო ოჯახური კერის შექმნა, ადგილობრივ პირობებთან შეგუება და თავისი შემოქმედებითი ძალების გაშლისათვის შესატყვისი გარემოს შექმნა. იგი არა თუ შეეგუა ახალ გარემოს, არამედ დიდი ადამიანური ჰუმანურობით შეითვისა და შეიყვარა უკრაინელი ხალხი, განსაკუთრებით მისი ხალხური შემოქმედება, ბოლომდე შეინარჩუნა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვის უნარი.

სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, როდესაც შეიზღუდა მისი მოღვაწეობის სფერო, იგი მთელი არსებით ჩაერთო მისთვის ყველაზე მაღალი ღირებულების სამსახურში, — ესაა ქრისტიანული რელიგიის მრწამსი, სამშობლო და შემოქმედება. საქართველოს უახლესი ისტორია და თავისი პირადი ცხოვრება განიცადა და შეაფასა ქრისტიანული ეთიკის ნიადაგზე, ამ ეთიკის ნორმებთან მიმართებაში. მისი ქრისტიანული სამარსება ღმერთი თავისი შინაგანი ესთეტიკური, ინტელექტუალური და მორალური მისწრაფებების პროექციაა, რომელშიც ნაგულისხმევია უმაღლესი სიბრძნე, სიკეთე და მშვენიერება.

ამ მისთვის უწმინდესი ეთიკური ნორმების პოზიციებიდან იგი ჩაღრმავდა თავისი პირადი წარსული ცხოვრების მსვლელობის, თავისი ფარული განწყობების და განცდების სამყაროში, განსაკუთრებით თავისი ერის ცხოვრებაში, და იხილა არასახარბიელო სურათი. ამ სურათის აღწერასა და შეფასებაში ჩააქსოვა და გამოავლინა მან დიდი ადამიანური გულწრფელობა, კერძო ადამიანის, მთელი ერის და კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარული, ადამიანთა შორის მშვენიერების, სიკეთის, სიბრძნის დამკვიდრების ძიების სწრაფვა. სამშობლოსადმი დამოკიდებულებაში მან გამოავლინა ღრმა სოციალურ-პოლიტიკური განცდები, განსაკუთრებით: სამშობლოს უანგარო სიყვარული, — პრინციპულობა, შეუდრეკლობა, პირდაპირობა, თანამიმდევრულობა, სიძულვილი და აგრესია ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ადამიანების მიმართ, გონიერი, ღრმა განსჯის უნარი, ღრმა სოციალური ჰუმანიზმი, სიკეთისადმი ტრფიალი.

ქრისტიანული ეთიკური ნორმებისადმი გულწრფელი მიმდევრობა მასში ნერგავდა პრეტენზიას მაღალი ეთიკური პოზიციიდან განესაჯა ქართველი ერის ტრაგედია და დაჯერებული შეგონებით, გარკვეული ამბიციით ეკისრა ერის დამოძღვრება, რაც გამოიხატა მის დიდაქტიკურ შეგონებებში; მას, როგორც გულწრფელად მორწმუნე ადამიანს, აწვალებდა ფიქრები და ზოგჯერ ღმერთის კეთილობაში შეეჭვებაც, რომ ამ ქვეყნად ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი თვისებები, როგორიცაა სწრაფვა ბედნიერებისაკენ, სიამოვნება, სიხარული, ხორციელი სიტკბოება (რითაც აღვსილი იყო პოეტის პიროვნება), სამყაროს საიდუმლოების შემეცნების წყურვილი, სრულიად შეუთავსებელია და კონფლიქტშია უზენაესის მიერ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის დაწესებულ იმ ეთიკურ ნორმებთან, რომლის დაცვა აუცილებელია იმ ქვეყნად კეთილი, მორალური ყოფის მოსაპოვებლად.

ხანდაზმულობის ჟამს მისი პიროვნების არსად ქცეული მაღალი ეთიკური ღირებულებების და მასში დაბუდებული ვნებების, „ცოდვების“ (ისეთი ქცევის ტენდენციის, რომელიც მისი აზრით არღვევს ადამიანობის იდეას) დაპირისპირება და, აგრეთვე, სანუკვარი ღირებულებებისადმი მზაობის ნიადაგზე მოქმედების შეუძლებლობა მასში იწვევდა შინაგან კონფლიქტებს, შეშფოთებას, დეპრესიას, დათრგუნვილ მდგომარეობას, მარცხის, მიუღწევლობის, სინდისის ქენჯნის, დამცირებულობის და სხვა კონფლიქტურ განცდებს. განუზომელ მწუხარებას, რომლის შემსუბუქებას, სულიერ კათარზისს ახდენდა იუმორში და თავის დიდი დიაპაზონის შემოქმედებაში, კერძოდ, ლოცვებსა და ვედრებებში.

გურამიშვილის იუმორი არ ამცირებს ადამიანის ღირსებას, მისწრაფებებს, მიზნებს; იგი კერძო ადამიანის ქცევას, მთელი ერის ცხოვრებას, საგნებსა და მოვლენებს განიხილავს სამყაროსთან ერთიანობაში. პოეტი, როგორც შემოქმედი, ისწრაფვის სამყაროს მოვლენების ყველა ელემენტს, საკუთარ საქციელს, ერის ცხოვრების მსვლელობას წვდეს ამ მთლიანობასთან მიმართებაში. იგი ხედავს, რომ ადამიანი უმწეოა ჩაწვდეს სამყაროს მთლიანობას, ხედავს, რომ ადამიანის ყოფიერების მიღმა შეღწევა გონებისათვის მიუღწეველია, მას შეუძლია მხოლოდ მთლიანი სამყაროს ცალკეულ ელემენტებში შეამჩნიოს უსრულო მხარეები, მანკიერებანი (წუთისოფლის უკუღმართი დინება, ადამიანის ბედი, სიკვდილი, საკუთარი და მთელი ერის ცხოვრებისა და ადამიანთა ურთიერთობაში მრავალი ბოროტებანი, რომელნიც არღვევენ ერის მთლიანობას და ა. შ.).

გურამიშვილის იუმორი, სატირა, ირონია წარმოადგენს ამ უსრულობის და მანკიერების ობიექტივაციას, მათ სრულ რეფლექსიას, მაღალ ინტელექტუალურ დონეზე მათ განსჯას, მაღალ იდეათა პოზიციებიდან მათ გამათრახებას. პოეტმა ბოლომდე შეინარჩუნა იუმორის, სატირისა და ირონიის უნარი, რაც მიუთითებს მის ხასიათში ორი მნიშვნელოვანი თვისების თანაარსებობას: შინაგან კონფლიქტებს— სამყაროში ცალკეული მოვლენების, კერძოდ, თავისი ცხოვრების უსრულობის და მანკიერების გამო გოდებას, წუხილს, სევდას, ამ უსრულობას და მანკიერებისადმი ირონიული დამოკიდებულების მეშვეობით შინაგანი განტვირთვის, კათარზისის უნარს, ამ გზით შინაგანი მთლიანობის შენარჩუნებას.

პოეტისათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისება — განწყობის დინამიკურობა, წარსულში განმტკიცებული განწყობებისაგან თავის დაღწევის, მათი შეკავების (ობიექტივაციის), მათგან განტვირთვის და ქცევისა და განცდების მაღალი ადამიანობის იდეის დონეზე გაშლის სწრაფვა, მძლავრი იუმორისა და ირონიის უნარი, იცავდა მის სულს სახიფათო გაბზარვისაგან, აძლევდა მას ძალას ღრმა მოხუცებულობამდე შეენარჩუნებია შინაგანი წონასწორობა, ცალკეულ სულიერ ძალებს შორის ჰარმონია, შემოქმედების ენერგია და მისთვის სანუკვარი უმაღლესი ღირებულებების ღრმა სიყვარული.



# დიდი პოეტის მშობლიურ კუთხეში

ზედაზენი ქართლის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. იგი ზემოდან დაჰყურებს მუხრანის თვალწარმტაც ველს, არაგვის ატეხილ ჭალებს და მტკვრის ხეობას. პოეტი ხშირად ახსენებს თავის ლექსებში ამ ისტორიულ ადგილს, მის თხემზე გაშენებულ მონასტერს, რომელიც პირველ რიგში, საქართველოში ქრისტიანობის დიდ მქადაგებელ წმინდა იოანეს სახელთანაა დაკავშირებული. ზედაზენის დასავლეთით, იალნოს ქედის დასრულებაზე მდებარეობს და მის ჩრდილოეთ კალთებზე გაშენებულია დიდი სოფელი საგურამო, რომელიც ვახუშტის დროსაც განთქმული ყოფილა „ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით... პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთათა შემკობილითა“.

საგურამოს უფრო ამაღლებულ ადგილს, დაახლოებით იქვე, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის სახლი დგას, გორისუბანს ეძახიან და აქ დღესაც ემჩნევა ძველი ნანგრევები. ჩვენი სასიქადულო პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემებს ემყარებოდა, ფიქრობდა, რომ ეს ადგილი გურამიშვილების სამყოფელია, რაზეც პირდაპირ მითითებას ჩვენ „დავითიანშიც“ ვპოულობთ: „მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსა“.

მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. ძიება ამ მიმართულებით კვლევაც გრძელდება. სულ ახლახან საგურამოში მიაკვლიეს მშვენიერ ნაგებობას, რომელიც ასევე ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, გურამიშვილების საგვარეულო სახლის შთამომავლებს ეკუთვნით და გურამიშვილების მარანს უწოდებენ. ამჟამად მიმდინარეობს ამ ნაგებობის რესტავრაცია (იხ. სურათი) და მომავალში იგი პოეტის ერთ-ერთი საგულისხმო მემორიალი იქნება. ასევე სხვა სურათებზე აღბეჭდილია ძველი ნანგრევები, რომლებიც აწ გამქრალი სოფლის გორისუბნის ნაშთი უნდა იყოს.









გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 02449